

708 /  
388/4

საქართველოს  
მუზეუმების  
სამეცნიერო ცენტრი



388/4



მეცნიერული მემკვიდრეობა

1

1988

708 /  
1988/4



საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის  
საზოგადოება

ქართული  
ენების მეცნიერება

ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ ИСТОРИИ  
И КУЛЬТУРЫ

GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF HISTORICAL AND  
CULTURAL MONUMENTS



საქართველო  
გიგანტების ქვეყანა

გელათი. ინტერიერი.

Гелати. Интерьер.

# ქველვის ქუთხარი

1 (1988)

კავიკული საზოცდამეცხარეობა

გაზოფის 1984 წლიდან

საკამეცითო კოლეცია: ირაკლი აბაშვიცო, ანდრია აბაშვიცო, გივი გააკათაშვილი, ვახტანგ ბერიცო, ირაკლი ბოლქვაძე (ა/შე მდივანი), კარმენ ზაძარაძე, გარიამ ლოათიშვიცო, თთარ ლოათიშვიცო, ლეანე მატარაძე, გივი კაკალაშვილი, ალექსი კობაშვიცო, თენგიზ შაკაძე, ვახტანგ ცინცაძე.

სერიის რედაქტორი — ირაკლი ციციშვილი

რედაქტორი — ალექსი კობაშვიცო

Редактор серии — ИРАКЛИЯ ЦИЦИШВИЛИ

Редактор — АЛЕКСИ РОБАКИДЗЕ

გაზოფის საზოცდამეცხარეო საწეცისეცე



### შინაარსი

შინაარსი — საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლია დაცვის საზოგადოების 1987 წლის მუშაობის ანგარიში	5
გიორგიმ დაპირდაპირი — თუშეთის საცხოვრებელ ნაგებობათა კლასიფიკაციის სათვის	10
ბახვა ბაქრაძე — ზემო იმერული საცხოვრებელი კომპლექსი	17
ელზარ ნადირაძე — ბუჭის რამდენიმე ნიმუში იმერეთიდან და ლენინოპოლიდან	22
მადონა ხაჩარაძე — ქართული ხალხური ზის კურკელი (კოვზები)	50
ანზორ ძალდაძე — ქართული წარმოშობის ქრისტიანული ძეგლები ინგუშეთში	35
კობე მორიანაძე — საქურველი დამეგობრება	44
ლევან ბაგინი — სურფის ყურძენი და ყურძენის წვენის პროდუქტები დასავლეთ სა- ქართველოში	47
ჯულიანა რუხაძე — შესაქონლეთა ხაწვო ბელოვება	50
ნიკო ბაბაძე — ოქრომჭედის მომარაგობის საშუალო	56
გიორგი გომიძე — სახალხლო ხონი	60
ქეთევან ნინოშვილი — ხალხური პიკეტაჟი საშუალებები (ოქსაბანი შიქა)	66
ლია სიმონიძე — ისტორიულ-რევოლუციური ძეგლები ახალგაზრდობის აღზრდის სამსახურში	69
ნიმონე ჯაფარიძე — შემოქმედების შუქი	74
ანოტიაციები რუსულ და ინგლისურ ენებზე	74—80

### СОДЕРЖАНИЕ

М. Асанидзе — О работе общества охраны памятников истории и культу- ры за 1987 г.	5
Г. Давиташвили — К классификации жилых построек Тушетии	10
Б. Гамкrelidze — Жилой комплекс верхней Имерети	17
Э. Надирадзе — Образцы каминов из Имерети и Лечхуми	22
М. Хазарадзе — Грузинская народная деревянная посуда (ложки)	30
А. Калдани — Христианские памятники грузинского происхождения в гор- ной Ингушетии	35
К. Чолокашвили — Оружие как подарок при установлении дружбы	44
Л. Габуния — Столовый виноград и продукты виноградного сула в За- падной Грузии	47
Дж. Рухадзе — Обрядовое искусство скотоводов Грузии	50
Н. Абашидзе — Волшебный мир златокузнеца	56
Г. Гоциридзе — Новогоднее подношение	60
К. Сихарулидзе — Народные гигиенические средства (моющая земля)	66
Л. Сигомашвили — Историко-революционные памятники	69
С. Джаваридзе — Творческий луч	71
Аннотации на русском и английском языках	74—80

ქართული ენციკლოპედია  
1987 წლის მუშაობის ანგარიში



**საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის  
საზოგადოების 1987 წლის მუშაობის ანგარიში**

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ცხოვრების ყველა სფეროს ძირეული გარდაქმნის პირობებში ძეგლთა დაცვის საზოგადოების როლი განუზომლად იზრდება პიროვნების სულიერი ფორმირების, ახალგაზრდობის პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის, მყარი მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებისა და ზნეობრივი საკითხების წინ წამოწევის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა გადაწყვეტაში. სწორედ ამ მაღალი კატეგორიებით მოაზროვნე ადამიანი არის მთავარი მამოძრავებელი ძალა ქვეყანაში მიმდინარე რევოლუციური განახლებისა.

1986 წლის 20 დეკემბერს ჩატარებულ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მე-7 რესპუბლიკურ ყრილობაზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა, საქართველოს კპ ცკ პირველი მდივნის აბხ. ჯ. ი. პატიაშვილის შემაჯამებელ სიტყვაში გამოთქმულმა შეხედულებებმა გარკვეულად განსაზღვრეს ჩვენი მუშაობის ძირითადი მიმართულებები. ყრილობაზე განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება რესტავრაციის, ქალაქის ძველი უბნების რეკონსტრუქციის, რესპუბლიკის გარეთ არსებული ქართული კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობის, ტრანსკავკასიის საულელტენილო რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებულ ბუნებისა და ისტორიის ძეგლთა დაცვის საკითხებზე. გამოითქვა სამართლიანი უკმაყოფილება საზოგადოების მუშაობის წერილობანობაზე, არადინამიურობაზე.

საზოგადოების ხელმძღვანელობამ, სარევიზიო კომისიამ შეიმუშავეს რიგი ღონისძიებებისა, რომელთა მიზანია გამოაცოცხლოს და გაააქტიუროს საზოგადოების საქმიანობა და წარმოაჩინოს მისი როლი ეროვნული კულტურის დაცვისა და შენარჩუნების საკითხთა გადაწყვეტაში.

ადამიანის სასიცოცხლო პირობების დაცვის, კულტურული გარემოსა და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების გლობალურ პირობებთანაა უშუალოდ დაკავშირებული ფართო მასშტაბის პროექტების განხორციელება.

ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობა, საბჭოთა საზოგადოებრიობა ბოლო პერიოდში განსაკუთრებით ფხიზლად და დიდი გულისყურით ეკიდება ამ რიგის მშენებლობებთან დაკავშირებულ პროექტების განხილვას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილების თანახმად უნდა გადაისინჯოს წინა წლებში შედგენილი პროექტები, გაუკეთდეს მათ ექსპერტიზა, რათა თავიდან ავიშოროთ ნაუცბათევი, არამეცნიერულ დონეზე შემუშავებული პროექტებით მშენებლობის დაწყება.

დღევანდელი ჩვენი ცხოვრების ფართო დემოკრატიისა და საჯაროობის პირობებში ჩვენ მოწმენი ვართ თუ რა მწვავე დისკუსიები იმართება პე-

საქ. სსრ კ. მარქლის  
სახ. საბ. რესპუბ.  
ბ. ბლიოთიძე



სების, წყალსაცავების და სხვა დიდი ობიექტების მშენებლობისას და დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ აზრს. ასე იქნა უკუგადასაზრებელი ბირის მდინარეთა შემობრუნების მრავალი წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტი, დაუგავის წყალსაცავის მშენებლობა და ა. შ.

ამ რიგის მწვევე საკითხად იქცა ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობისათვის კავკასიის საუელტეხილო რკინიგზის მშენებლობა. საზოგადოებრივ VII ყრილობაზე აშხ. ჯ. პატიაშვილის სიტყვაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობას საზოგადოებრივი მსჯელობის შემდეგ უნდა მიეცეს სათანადო მიმართულება.

ძეგლთა დაცვის საზოგადოებამ დაუგზავნა წერილები ამ საკითხით დაინტერესებულ დაწესებულებებს, ინსტიტუტებს, სპეციალისტებს. შეიკრიბა დიდძალი მასალა, გამოირკვა, რომ მშენებლობის დაპროექტებისას არ იყო გათვალისწინებული, როგორც ბუნებისა და ძეგლთა დაცვის, ასევე ეკონომიკური, სოციალური და სხვა პრობლემები. ამასთან დაკავშირებით მოეწყო საზოგადოების პრეზიდენტის გაფართოებული სხდომა. პრეზიდენტის დადგენილების ტექსტი ეცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სუდაც აღნიშნული იყო, რომ მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა ასპექტის განსახილველად აუცილებელია შედგეს სამთავრობო კომისია.

საქართველოს კპ ცკ 1987 წლის 5 მაისის დადგენილებაში მოწონებულ იქნა საზოგადოების მიერ გაწეული მუშაობა. სამთავრობო კომისია შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ალბერტ თავხელიძის თავმჯდომარეობით. მშენებლობასთან დაკავშირებით მოეწყო სატელევიზიო გადაცემები, დაიბეჭდა წერილები. სოციალურ, ეკონომიკურ, კულტუროლოგიურ საკითხებზე. წინ წამოიწია სასამელი წყლის სისუფთავის დაცვის პრობლემა. ამ საკითხებზე ყველას დაფიქრება გვმართებს, რადგან მათ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ცხოვრებისათვის, ჩვენი მომავლისათვის. ძეგლთა დაცვის საზოგადოებას გადაწყვეტილი აქვს მომავალშიც მონაწილეობა მიიღოს პროექტების განხილვაში და ისინი უნდა ვახდეს ფართო საზოგადოებრიობის მსჯელობის საგანი, რაც ჩვენი ცხოვრების დღევანდელ მოთხოვნას წარმოადგენს.

საზოგადოებამ გარკვეულად გაააქტიურა თავისი კონტაქტები წიგნის მოყვარულთა და მუსიკალურ საზოგადოებებთან, მწერალთა და არქიტექტორთა კავშირებთან. ჩავატარეთ ერთობლივი ღონისძიებები: ეს არის სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია „წიგნი ძეგლის დაცვისა და პოპულარიზაციის საქმეში“, ბოლნისის რაიონში ჩატარდა „ძეგლის დღე“.

ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავთან დაკავშირებით საზოგადოებამ ჩატარა ღონისძიებები მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის ს. ორჯონიკიძის, ვ. კიკვიძის მუზეუმებში. განსაკუთრებით გვინდა აღნიშნოთ, რომ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა საზოგადოების მიერ ლენინგრადის საბჭოთა ხალხთა ეთნოგრაფიის მუზეუმში, მოწყობილი ქართული ხალხური ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა. მან დიდი გამოხმაურება კპოვა, როგორც სპეციალისტთა, ასევე დამთვალეობებულთა შორისაც. გამოფენის შესახებ დაიბეჭდა მასალები რესპუბლიკურ და საკავშირო პრესაში. სპეციალური გადაცემა მომზადდა ლენინგრადისა და ფინეთის ტელევიზიით.



ლენინგრადის ეთნოგრაფიის მუზეუმთან ერთად მოეწყო ერთობლივი თეატრალური-სემინარი. ხაზგასმით იქნა აღნიშნული, რომ საბედნიეროდ, საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ცოცხლობს და ვითარდება ხალხური შემოქმედება, ერთი თვის მანძილზე გამოფენა დაათვალიერა 40 ათასზე მეტმა ადამიანმა. მათ შორის უცხოეთის ქვეყნების წარმომადგენლებმა და სერვილი გამოთქვეს, რომ მათთანაც მოეწყო ანალოგიური გამოფენა.

დაგვეთანხმებით, რომ ამ სახის გამოფენების ტრადიციად ქცევა, როგორც საბჭოთა კავშირის ქალაქებში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც ხელს შეუწყობს ქართული ეროვნული კულტურის გაცნობას და პოპულარიზაციას.

ცნობილმა ამერიკელმა ფინანსისტმა და საზოგადო მოღვაწემ რომბერტ უოლშმა, რომელიც სექტემბერში ეწვია საქართველოს და იმყოფებოდა ძეგლთა დაცვის საზოგადოებაში, გამოთქვა სერვილი ამერიკისა და კანადის სამ ქალაქში მოეწყოს ქართული ხალხური რეწვის ნიმუშთა გამოფენა-გაყიდვა. ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები. უნდა ვიფიქროთ, რომ ძეგლთა დაცვის საზოგადოების წინაშე ახალი პერსპექტივები იშლება. ჩვენ არა მარტო გაეაცნობთ ქართული ხალხური რეწვის ნიმუშებს, არამედ გვეძლევა საშუალება გამოფენა-გაყიდვიდან საზოგადოების ანგარიშზე შემოსული სახსრები გამოყენებულ იქნას უცხოეთში არსებული ქართულ სიძველეთა შესწავლისა და პოპულარიზაციის მიზნით, რაც ქართული საზოგადოების მრავალი თაობის დიდი ხნის სურვილს წარმოადგენს.

გასულ წელს საზოგადოება გადავიდა დაგეგმვის ახალ ფორმაზე. საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოები ყოველკვარტალურად აბარებენ ანგარიშს. შესაბამისად ვაიხარდა მუშაკთა მატერიალური წახალისებაც. ასევე კვარტალური გახდა პრემიალური სისტემაც. ვფიქრობთ, ამან გარკვეული მობილიზება უნდა მოახდინოს და დინამიურობა შესძინოს ადგილებზე მომუშავეთა საქმიანობას, როგორც ფინანსური, ასევე პროპაგანდისტული კუთხით.

გასულ წელს საწევრო ანარიცხებიდან მიღებულია 513.200 მან. რაც შეადგენს 104,6%.

წარმატებით დაამთავრა 1987 წელი საზოგადოების დამხმარე საწარმოომ. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10,3 მილ. მანეთისა სასაქონლო პროდუქტთა შეადგინა 12,3 მილ. მანეთი, მოგება 3,12 მილ. მანეთი.

მოგვხსენებათ, რომ საზოგადოება თავის შემოსავლის დიდ ნაწილს ახმარს ძეგლებზე სარესტავრაციო სამუშაოთა წარმოებას. ამ მიზნით 1987 წელს საზოგადოების პრეზიდიუმმა გამოჰყო 1.045 ათასი მანეთი. აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობდა 31 ძეგლზე. მათ შორის: მანავის ციხეზე, ოსინდალეს ეკლესიაზე, წრომის ტაძარზე, მარტყოფის ეკლესიაზე, ბებრის ციხეზე და სხვა. გასულ წელს პირველად საზეიმოდ აღენიშნეთ ძეგლზე სარესტავრაციო სამუშაოთა დამთავრება. საზოგადოების სახსრებით აღდგენილ იქნა მწვანე მონასტერი ბორჯომის რაიონში. ვფიქრობთ, რომ ამგვარი ღონისძიებები აუცილებელია და ტრადიციად უნდა იქცეს. ეველამ უნდა იცოდეს რაში და როგორ იხარჯება საზოგადოების თანხები.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებაში დასმული საკითხები ფართო საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რესტავრაციის მიმდინარეობას, ძეგლის ჩაბარები-





სას უნდა ჩანდეს ფართო საზოგადოებრიობის კრიტიკული დამოკიდებულება რესტავრაციის ხარისხის მიმართ.

ძეგლებზე აღდგენა-გამაგრებით სამუშაოებში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები. ალბათ დაგვეთანხმებით, რომ აქ მთავარი ის როდია, რა მოცულობის სამუშაოს შეასრულებენ ისინი, თუკი არც ეს მაჩვენებელია ხოლმე პატარა, არამედ ადამიანთა სურვილი მონაწილეობა მიიღონ ეროვნული მემკვიდრეობის შენარჩუნების საქმეში.

შარშანდელმა ზამთარმა დიდი უბედურება დაატეხა საქართველოს მთიანეთს. ჩვენმა საზოგადოებამ დაზარალებულთა ფონდში გადარიცხა 100 ათასი მანეთი. საზოგადოების პრეზიდენტმა, სარევიზიო კომისიამ განიხილეს საკითხები სვანეთის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური სფეროს საფუძვლიანი გარდაქმნის პირობებში გვეძლევა საშუალება რესტავრაციის საქმეში გამოვიყენოთ ახალი ფორმები. საზოგადოებასთან უკვე ჩამოყალიბდა საპროექტო კოოპერატივი, სადაც შეიძლება დაუკვეთოთ ძეგლის რესტავრაციის პროექტი და ეს სამუშაო უმოკლეს ვადაში, კვალიფიკურად იქნეს შესრულებული. მუშაედება საკითხი სარესტავრაციო კოოპერატივის შექმნის შესახებ.

საზოგადოების პრეზიდენტმა ახლან განიხილა ქართულ ეკლესიებში ძეგლთა დაცვის მდგომარეობა. ეკლესიების განახლებისას დიდი სიფრთხილე გვართებს, რათა არ დაეშორდეთ ისტორიულ სინამდვილეს.

პრეზიდენტმა მოიწონა აზრი საზოგადოებასთან მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ საქართველოს ეკლესიის საპატრიარქოს წარმომადგენლის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის რწმუნებულის მონაწილეობით.

საზოგადოების ყოველკვარტალური, მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული კრებული „ძეგლის მეგობარი“ მკითხველთა ინტერესით სარგებლობს. სარედაქციო კოლეგიას გადაწყვეტილი აქვს მომავალში ვრცლად გააშუქოს საზოგადოების საქმიანობა.

ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ორგანიზების, მისი სწორი ორიენტაციის საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ახალგაზრდა მეცნიერებთან ფართო კონტაქტების დამყარების, მათი მონაწილეობის გააქტიურების მიზნით, ძეგლების კვლევისა და ფიქსაციის გაუმჯობესების საქმეში საზოგადოების პრეზიდენტთან შეიქმნა სექციები, რომელთა მუშაობას წარმართავს კოლეგია. მის შემადგენლობაში არიან ახალგაზრდა ისტორიკოსები, არქეოლოგები, არქიტექტორები, ხელოვნებათმცოდნეები. სექციებში მუშაობა წარიმართება შემდეგი მიმართულებით: ისტორიულ ძეგლთა, ქალაქებისა და სოფლების ძველი უბნების, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მდებარე ქართული კულტურის, არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენის, შესწავლის და პოპულარიზაციისათვის. შეიქმნა აგრეთვე — კომპოზიციონერულთა სექცია ახალგაზრდა შემოქმედებითი ჯგუფის „ხომლის“ მონაწილეობით — ხელმძღვანელი რ. შალიბაშვილი. სექციებში მომზადდა რამდენიმე საინტერესო საკითხი. ეს შეეხება ხევის ძეგლთა მდგომარეობას, ისტორიული პერეთის (საინ-

ვილოს) ძეგლებს, XVIII-XIX სს. სამოქალაქო არქიტექტურის ნაგებობათა კვლევისა და რესტავრაციის საკითხებს.

საზოგადოების პრეზიდენტი მიაჩნია, რომ აუცილებელია გამოინახოს შესა-  
წავლელ-ახალგაზრდობასთან პროპაგანდისტულ-შემეცნებითი ხასიათის მუშაო-  
ბის წარმართვის ახალი ფორმები. ამ საკითხის გადაწყვეტაში დიდად დაგვეხ-  
მარებოდა პრეზიდენტის შენობისათვის დროული რემონტის ჩატარება, რაც  
წელს უნდა განხორციელდეს.

საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს სხდომაზე, რომელიც გასულა  
წლის 15 დეკემბერს შედგა, დაყენებულ იქნა მეტად საინტერესო საკითხები,  
რომლებიც ეხებოდა ახალციხის პირობების პირობების მშენებლობის დაპროექტე-  
ბასთან დაკავშირებით უნიკალური ძეგლების წყლით დაფარვის საშუალო-  
ეზას, არქეოლოგიური ძეგლების კონსერვაციას, ძველი ტოპონიმების აღ-  
დგენას და სხვ. საზოგადოების პრეზიდენტი თავის მუშაობაში აუცილებლად  
გაითვალისწინებს აღნიშნულ საკითხებს.

საზოგადოების მუშაობა შეამოწმა წარმომადგენლობითმა კომისიამ საბ-  
ჭოთა კავშირის კვ. ც. კულტურის განყოფილების გაკვის მოადგილის ანტ. ვ. რო-  
დონოვის ხელმძღვანელობით. საზოგადოების საქმიანობამ, გადადგმულმა ახა-  
ლმა ნაბიჯებმა დადებითი შეფასება მიიღო და მოწონება დაიმსახურა.

მაგრამ, რა თქმა უნდა ბევრი რამაა გასაკეთებელი, ნაკლები საქმეა  
გვაქვს. წინ ვერ გადავდგამთ ნაბიჯს თუ არ გამოვაჯლინეთ რა გვიშლის ხელს,  
რა უნდა გამოსწორდეს.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების  
საქმიანობაში აუცილებელი ცვლილებების, მისი როლის გააქტიურებისათ-  
ვის საჭიროა თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობის ზრდა, პროპაგანდისტ-  
ულ და საშუალო მუშაობაში ახალ ფორმათა შემოქმედებითი ძიება. ამ სფე-  
როში მომუშავე ადამიანისათვის ამოსავალი წერტილი უნდა გახდეს შინა-  
განი მოთხოვნილება ემსახუროს ეროვნული კულტურის შენარჩუნების საქ-  
მეს. საზოგადოების მუშაკები კარგად უნდა იყვნენ ინფორმირებული ძეგლე-  
ბის დაცვის მდგომარეობის შესახებ. მათი ჩარევა კი იყოს ქმედითი, ენერგი-  
ული.

ეს არის გზა, რათა დაიძლიოს მოდუნება, საქმიანობის უღიმღამობა და  
წვრილმანობა. ყველა თავის ადგილას უნდა იძლეოდეს უკუგებას. ეს დღე-  
ვანდელი საბჭოთა ცხოვრების აქტიური საკითხია.

სულ ორიოდ წელიც და საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგ-  
ლთა დაცვის საზოგადოებას 30 წელი შეუსრულდება. ამ მნიშვნელოვანი თა-  
რილის აღნიშვნისათვის აქედანვე უნდა ვემზადოთ, უნდა გავაჩნდეს საზო-  
გადოების მოღვაწეობის მატინე.

ჩვენი მუშაობის სტილი, ფორმათა მრავალფეროვნება უნდა პასუხობდეს  
სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანთა ინტერესებს, რომელთაც სურთ  
მონაწილეობა მიიღონ ეროვნული მემკვიდრეობის შენარჩუნებისთვის.

ჩვენ უნდა გავამართლოთ ის გულწრფელი ყურადღება და მხარდაჭერა,  
რომლითაც ეკიდებიან საზოგადოების საქმიანობას.



თუშეთის საცხოვრებელ ნაგებობათა კლასიფიკაციისათვის

საქართველოს მთიანეთში ფართოდ გავრცელებულ კოშკურა საცხოვრებლების<sup>1</sup> ჯგუფს მიეკუთვნება თუშური „ციხე-სახლი“. მასში, როგორც მსგავს საცხოვრებელთა ფორმებში, გავრთიანებულია საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი ფუნქციები. ძირითადად, იგი სამ-ოთხსართულიანია, თითოეულ სართულს მკვეთრად გამოკვეთილი ფუნქცია გააჩნია. საცხოვრებლის აღნიშნული ფორმა თუშეთისათვის ძველად ძირითად და ყველაზე გავრცელებულ სახეობას წარმოადგენდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „ციხე-სახლი“ პირობითია, ლიტერატურაში გავრცელებულია, ძირითადად ამ საცხოვრებლის თავდაცვითი ფუნქციის შედარებით მკაფიოდ გამოხატული ნიშნების გათვალისწინების გამო<sup>2</sup>. ზოგიერთი ავტორი მას საცხოვრებელ კოშკსაც (жилая башня) უწოდებს.<sup>3</sup> თუ დავეყრდნობით შინამრეწველობისა და ხელოსნობის მასალებს<sup>4</sup>, თვით თუშეთში „აღამიანის საცხოვრებელი არის სახლი. სიტყვა სახლი საერთო ხმარებაშია მთელ თუშეთში“.


აღნიშნული სახლის პირველი სართული ბაშტეა წარმოადგენს საქონლის საზამთრო ადგილსამყოფელს. მისი განათება მხოლოდ შესასვლელი კარის ლიობიდან ხერხდება. ერდოა-ს საშუალებით იგი უკავშირდება მეორე სართულს, რომელსაც შუაა ეწოდება. ეს ოჯახის ძირითადი საზამთრო საცხოვრებელია, სადაც ყერაა გამართული. ამ სათაესს ორი მცირე ზომის (დაახლ. 30 სმ X 25 სმ) შუკუში აქვს. ზედა სართულს ეწოდება ჭეროა, საშინაო სახლი, საჭაღაბო, საზაფხულო საცხოვრებელი და ამავე დროს პროდუქტის შესანახი. კავშირი მეორე და მესამე სართულს შორის მყარდება ერდოა-ს საშუალებით.

იმ შემთხვევაში, როდესაც სახლი სამ სართულიანზე მეტია, მაშინ მესამე სართულს ზედა შუაა-ს უწოდებენ და მისი გეგმარებითი სტრუქტურა, როგორც წესი, იმეორებს ქვედა საცხოვრებელი სართულის სტრუქტურას.

თუშური ციხე-სახლის ორგანიზაციაში, სხვა მთურ საცხოვრებელთა მსგავსად სეზონურობას და ფუნქციონალურ მობილურობას ვადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო პროცესები მიმდინარეობდა ვერტიკალურ კრილში. ძირითად საცხოვრებელ ნაწილში დაცული იყო სქესობრივ-ასაკობრივი დიფერენციაციის პრინციპი, რაც გამომდინარეობს თუნდაც ყერის მხარეების აღნიშვნით: სამამაკაო ყერა და საღიაცო ყერა. საქაღაბო ნაწილს, როგორც წესი, გაცილებით მეტი ფართი უჭირავს. ამავე მხარეს დგას კიდობანი, ხოლო მამაკაცების მხარეს კი გრძელი მეჭი. იქვე ხელმარცხნივ განლაგებულია თაროა. ყერა მოწყობილია შესასვლელისგან მარცხენა მხარეს. ამის მთავარი მიზეზია ფართის რაციონალური გამოყენება (საჭმლის დამზადება, მიღება, დაცვენება). თუშური ციხე-სახლი ოთხფერდა პრიზმის ფორმისაა, რომელიც ოდნავ პირამიდისაგან მიისწრაფვის. ამით ნაგებობა მეტ სტატურობას იძენს და თვალისთვისაც უკეთესი აღსაქმელი ხდება. ძირითად სამშენებლო მასალად გამოიყენებოდა ფიქალი, კედლები შშრალი წყობით იგებოდა. ეს ბუნებრივი, ადგილობრივი მასალა უკვე თავისი ხასიათით ქმნიდა გარკვეულ კავშირს გარემოსთან, ლანდშაფტთან.

ომლო, აივანი სახლი.  
(თ. აქირაული) 1 — გეგმა;  
2 — ჩიკა.

ომლო, Дом с балконом (Т.  
Ичираული). 1 — План; 2 —  
Стул (ჩიკა).




სართულშუა გადახურვებში გამოყენებულია კოქოვანი სისტემა, რაც თავისთავად გამომდინარეობდა სათავსების მცირე ფართისაგან. როგორც წესი, მზიდი ხის ვერტიკალური კონსტრუქციები საცხოვრებლის ინტერიერში არ გვხვდება. შუკუმების მცირე ზომები განპირობებული იყო, როგორც თავდაცვითი მოსაზრებით, ასევე ტემპერატურული რეჟიმის შენარჩუნებით.

შენობის ოდნავ პირამიდული ფორმა, კედლების სისქე გამოწვეულია ქვის წყობის თავისებურებით და ნაგებობის სტატიურობა, მდგრადობა მიღწეულია სამშენებლო მასალის მასით. ასეთი კედლები კარგად ინახავდა სითბოს, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სამეურნეო ნაწილისათვის, სადაც იმყოფებოდა საქონელი.


სართულშუა გადახურვებში დაშორება კოქებს შორის, რომლებსაც აქ **შიდე**ბს უწოდებენ, არ არის შემთხვევითი, ასეთი კონსტრუქცია ითვისწინებდა როგორც მუდმივ, ასევე დროებით დატვირთვებს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ თუშური ციხე-სახლის სახურავი ორფერდაა, რაც მას მკვეთრად განასხვავებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კოშკურა საცხოვრებელი ნაგებობებისაგან. ერთი მიმართულებით დალაგებული **შიდე**ბი გვირგვინდება მთავარი კოქით, რომელსაც კესის **შიდი** ეწოდება. კოქებზე ეწყობა ყ ა ვ რ ე, რომელსაც აფარებენ სიბის ქვებს.

სართულშუა გადახურვებში გამოყენებული იყო ჩხ ლ ა კ ვ ი. ზავის და მიწა. მაგალითად, ზავის გამოყენება ასეთ კონსტრუქციაში სწორედ თუშეთისათვის არის დამახასიათებელი, განსხვავებითა შეზობელი რეგიონებისაგან. იგი კარგი თბოაბსორბაციო მასალაა და ხშირად გამოიყენება აგრეთვე ინტერიერში, ტახტში ჩასაგებად და სხვ.




2




დიკლო. ციხე-სახლი (პ. ოსორაული).  
1 — საცხოვრებლის ინტერიერის ფრაგ-  
მენტი; 2 — კიდობანი; 3 — ტახტის  
კონსტრუქცია; 4 — გადახურვის კონს-  
ტრუქცია.

Дикло. Дом-крепость. (П. Осо-  
раули). 1 — Фрагмент интерьера  
жилища; 2 — Ларь-кидобани; 3 —  
Конструкция тахты; 4 — Констру-  
кция перекрытия.

ციხე-სახლში თვალნათლივ არის წარმოდგენილი უშუალო კავშირი და დამოკიდებულება კონსტრუქციული სისტემისა და საცხოვრებელი ნაგებობის ძირითადი ფუნქციისა. გარდა ამისა, ნაგებობებში ვლინდება ემპირიული ცოდ-  
ნა კონსტრუქციის მიზანშეწონილობის კანონისა, ვინაიდან არც ერთი კონს-  
ტრუქციული ელემენტი არ ატარებს შემთხვევით ხასიათს, შენობა თავისი  
არსით ტექტონიურია, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.



კვალო. საცხოვრებელი სახლი. კარსე-ა (ი. თილიძე). 1 — ფასაჲ; 2 — გვერდითი ფასადი; 3-4 — კრილები.



Квадро. Жилой дом с пристройкой Карсе. (И. Тилидзе). 1 — фасад; 2 — Боковой фасад; 3 — 4 — Разрезы.




საცხოვრებელს ინტერიერში კლანდება ყოველი ელემენტის ერთმანეთთან ურთიერთდამოკიდებულება, ზომიერება და შესაბამეობა. საცხოვრებელი ნაწილის შეზღუდული სიმაღლე თხოულობს სივრცის აღქმას ძალზე დაბალი წერტილიდან. ეს არის კერასთან მჭიდრო ადამიანის თვალი და ამ თვალსაზრისითაა ჩაფიქრებული ინტერიერის ყოველი ელემენტი. სარკმლების სიმეტრიული განლაგება ქმნის ინტერიერში გარკვეულ რითმს, რასაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს გადახურვის ელემენტების თანაბარი დაშორება.

ციხე-სახლის ინტერიერში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ნაბდებს, რომელთაც რამდენიმე ფუნქცია გააჩნდა. (არსებობს ფეხთქვეშსავე ნაბადი, ლოგინში ჩასაფენად ჩაღრან ტახტში, აგრეთვე დასახურავად ნახევარწრის ფორმის სახურავა ნაბადი მწყემსის). უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელ ნაბდებისაგან განსხვავებით, ტრადიციულ ნაბდებს ამშვენებდა სადა, ლაკონური ნახატი. ყოველ ასეთ გამოსახულებას გარკვეული აზრობრივი დატვირთვაც გააჩნდა.

თუშური ციხე-სახლის განვითარების ერთ-ერთ საფეხურს, ჩვენი აზრით, უნდა წარმოადგენდეს კარსე-ის გაჩენა. ეს არის შენობის მთელ სიმაღლეზე მიშენებული საცხოვრებელი ნაწილი. ამ ნაწილის მიშენება ჩვენი ვარაუდით უნდა ყოფილიყო გამოწვეული საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების გაზრდით და საცხოვრებელი ფართის სიმცირით. მსგავსი მოვლენები საქართველოს სხვა კუთხეებშიც გვხვდება. კარსე-ის ერთგვარ ანალოგს





ქველო. საცხოვრებელი სახლი კარსეა (ი. თილიძე). 1 — I სართულის გეგმა; 2 — II სართულის გეგმა; 3 — III სართულის გეგმა; 4 — IV სართულის გეგმა.

Квадро. Жилой дом с пристройкой карсэ (И. Тилидзе), 1 — План I этажа; 2 — План II этажа; 3 — План III этажа; 4 — План IV этажа.



დიკლო. ციხე-სახლი (პ. ოსორაული). 1 — საერთო ხედი; 2 — კრილი; 3 — I სართულის გეგმა; 4 — II სართულის გეგმა; 5 — III სართულის გეგმა.

Дикло. Дом-крепость (П. Осораули). 1 — Общий вид; 2 — Разрез; 3 — План I этажа; 4 — План II этажа; 5 — План III этажа.





უნდა წარმოადგენდეს სენათში სვანიორი და რაჭაში კარსელი. უკანასკნელის ტერმინოლოგიური მსგავსებაც არ უნდა იწყვედეს აქვს, რადგანაც ფუნქციებიც ემთხვევა ერთმანეთს.

თავდაპირველად კარსეა სრულად იმეორებდა ძირითადი საცხოვრებელი ნაწილის ინტერიერის სტრუქტურას. მასში ეწყობოდა კერა, თავისი ყველა ატრიბუტით. შემდგომ ვარიანტებში კი კერის ნაცვლად უკვე გვხვდება ბოხარი, რაც მთლიანად ცვლის საცხოვრებლის არსებულ შიგა სტრუქტურას. კერძოდ, მასში აღარ ჩანს სამამაკაცო და საქალებო ნაწილები, ჩნდება ახალი ინტერიერის ელემენტები.

თავდაპირველ ვარიანტებში კარსეა მცირე ზომისაა, ხოლო შემდგომ მაგალითებში მისი ფართი იგივეა, რაც ძირითადი საცხოვრებლისა.

გვემარების თვალსაზრისით კარსეა ისეთნაირად შენდებოდა, რომ საშუალება ყოფილიყო რელიეფის გამოყენებით მეორე სართულზე უშუალოდ კარსეა-ს გველით მოხვედრა. ტრადიციულ ციხე-სახლის საცხოვრებელ ნაწილში ასვლა მხოლოდ შიგა კიბის საშუალებით ხდებოდა.

თავისთავად ცხადი ხდება, რომ კარსეა-ს გაჩენით ციხე-სახლს ნაწილობრივ დაეკარგა მისი ერთ-ერთი მთავარი, თავდაცვითი ფუნქცია, რომლის აუცილებლობა თანდათანობით კლებულობდა.

კონსტრუქციული თვალსაზრისით თავდაპირველად მიშენებული ნაწილი არ არის მყარ კავშირში ძირითად ნაგებობასთან, რაც აშკარად ჩანს ჩვენს მიერ მოპოვებულ მასალაში. სართულშუა გადახურვებში და სახურავის კონსტრუქციაში მეორდება ტრადიციული ციხე-სახლის ყველა ელემენტი.

ციხე-სახლის განვითარების თუ ტრანსფორმირების შემდეგ ეტაპს წარმოადგენს ისეთი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, რომელიც მთლიანად იმეორებს უკვე კარსეა-თ ჩამოყალიბებულ სტრუქტურას და კონსტრუქციულად ერთ მთლიან ნაგებობას წარმოადგენს. ზოგიერთ შემთხვევაში ამ სახლებს მეორე სართულზე უჩნდება მცირე ზომის აივანი.

ასეთ საცხოვრებელს, როგორც წესი, ბუხრები აქვს, გვხვდება ჩაშენებული ავეჯი განჯინების სახით და ახალი ყოფისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ელემენტი.

თუშეთში ახალი ტიპის საცხოვრებელს წარმოადგენს აივანიანი სახლი, რომელსაც თითქმის სრულიად დაკარგული აქვს კავშირი ტრადიციულ ციხე-სახლთან, გვემარებითი თვალსაზრისით. ეს საცხოვრებელი ზოგიერთი ელემენტით ემსგავსება კახეთში გავრცელებულ საჩიხიან სახლს, თუმცა მას მთლიანად საცხოვრებლის მთელი რიგი ნიშნები შენარჩუნებული აქვს.

აივანიანი სახლი შედგება ორი ნაწილისაგან — სამყოფა და სასტუმროა. როგორც წესი, მას ორი მხრიდან გარს ერტყვის აივანი. იგი ერთსართულიანია, რელიეფის აუცილებელი გამოყენებით, საქონელი სრულიად იზოლირებულია საცხოვრებლისაგან.

სათავსებს დიდი ფანჯრები აქვს, რაც კარგად ანათებს ინტერიერს და მისი აღქმა მთლიანად ხდება. სამყოფა-ს მარცხენა მხარეს ბუხარია, ხს ორნამენტირებული ზედა ნაწილით. ორივე მხარეს სტაციონარულად დამაგრებული მოსასვენებელი მეზია (გრძელი სკამი). სასტუმროა-ს მთელ სიგრძეზე ჩაშენებული აქვს განჯინები.



კონსტრუქციულად აივნიანი სახლი იმეორებს თუშეთისათვის ტრადიციულ კოკოვან სისტემას. შედარებით დიდი ფართის გამო გადახურვის ხალცი გაზრდილია. ზოგიერთ შემთხვევაში კოჭება დაუფარავად არის გამოყენებული ტერიერში.

ს. ი. ლ. ი. მ. მ. მ. მ.

ახალი ტიპის საცხოვრებელში, მისი ინტერიერის კომპოზიციაში, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მასშტაბურობა. ინტერიერში მთავარი და მეორეხარისხოვანი ელემენტების თანაფარდობა გარკვეულ როლს თამაშობს მასშტაბური წყობის შექმნაში.

ამდენად, არსებული მონაცემები და ახალი მასალა გვაძლევს საშუალებას დავაფიქსიროთ რამდენიმე ეტაპი თუშური ციხე-სახლის განვითარებისა. საინტერესოდ მიგვაჩნია იმის დადგენა, თუ რა ტრადიციული ელემენტები შეინარჩუნა აივნიანმა სახლმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ტიპის საცხოვრებელზე გადასვლისას ძირითადად ყურადღება მახვილდებოდა შენობის აგების საერთო პრინციპებზე, რასაც ხელს უწყობდა ტრადიციული სამშენებლო მასალის გამოყენება. ახალი საყოფაცხოვრებო პირობები. თუ უყენებდნენ მშენებელს ახალ მოთხოვნებს, კონსტრუქციული სისტემა ძირითადად ინარჩუნებდა პირვანდელ სახეს. დიდი ყურადღება ექცეოდა ინტერიერის ტრადიციულ ელემენტებს და არქიტექტურული ენის სემანტიკას.

შედარებითი ანალიზით შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ ეტაპობრივად ხდებოდა კანონიერი ტიპების სახეცვლილება, რასაც თავის მხრივ აპირობებდა ახალი ცხოვრების წესი, ინფორმაციის გაცემა და სხვა. მაგრამ ამავე დროს შეიმჩნევა განვითარების საერთო ხაზი, რისი მიზეზიც იყო როგორც ფორმალური მოქმედების გარეშე ფაქტორები, ასევე ტრადიციული ხერხების, საშუალებების გამოყენება და რაც მთავარია, შემოქმედის მემკვიდრეობითობა მხატვრული აზროვნების თვალსაზრისით.

1. ალ. რობაქიძე. ქართულ ხალხურ ტრადიციულ საცხოვრებელ ნაგებობათა კლასიფიკაციის პრინციპები. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი. მასალები. თბ., მეცნიერება, 1986, გვ. 13.

2. გ. გეგეკური. ციხე-სახლები საქართველოში, ატლასი. მასალები თბ., მეცნიერება, 1986, გვ. 16. ა. ქალდანი. კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსი საქართველოს მთიანეთში. ...ატლასი. მასალები თბ., მეცნიერება, 1986, გვ. 26.

3. Джагднери М. И., Лежава Г. И. Архитектура горных районов Грузии. М.: Изд-во Ак. Арх. СССР, 1940, стр. 11—12.

4. მასალები საქართველოს მონამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. ტ. 1 აღმშენებლობა და ავეჯი. თბ., მეცნიერება, 1976, გვ. 140.

მეცნიერება  
1 ბრუნვა  
სს  
1  
1

ზემო იმერული სასოფრობალო კომპლექსი



18.9.29

ზემო იმერეთში, კერძოდ, სახეხრის რაიონის სოფლებში მტკიცედ იყო დატული განსახლების პატრონიმული პრინციპები. დასახლების სისტემაში განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის კარმიდამოს, როგორც მის ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტს. ყურადღებას იქცევს რამოდენიმე საცხოვრებელ კომპლექსიანი კარმიდამო, რომელთაც ი. ადამია ორ ან სამოჯახიან კარმიდამოს უწოდებს, იმის მიხედვით თუ რამდენი ოჯახი იყო განლაგებული მის ფარგლებში. მისი აზრით, ერთ კარმიდამოზე რამდენიმე ოჯახის ერთად ცხოვრების ფაქტები არის ძველთაძველი გადმონაშთი, რომელიც გვაროვნული დასახლების პირველყოფილი ფორმიდან უნდა მომდინარეობდეს. ვფიქრობთ, ამ შესანიშნავ მასალას არა აქვს მიცემული მთლად მართებული კვალიფიკაცია. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ საქმე გვაქვს ზემო იმერეთისათვის დამახასიათებელ განსახლების ტრადიციულ ფორმასთან, სადაც დიდი ოჯახის დაშლის საფუძველზე ვლენბულობთ სავსებით ჩამოყალიბებულ პატრონიმული ერთეულს. ერთი ასეთი მაგალითი ჩვენცა გვაქვს ფიქსირებული. სოფ. არგვეთში დაეთი, ლუტუა და მიხეილ ბერიძეების საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები არცთუ დიდი ეზოს გარშემო ისე იყო შემოწყობილი რომ მთლიანობაში წრეს კრავდა. რამდენიმე წლის წინათ ეს პატრონიმული კომპლექსი ისე დაიშალა, რომ მასში შემავალ ოჯახებს შორის ღობე არ გაელებულა და სტუმარი არ გაყოფილა.

რაც შეეხება საცხოვრებელ ნაგებობებს, აღნიშნულ რაიონში ძირითადად გავრცელებული იყო ორი ტიპის სახლი: „გძელური სახლი“ და „ოდა სახლი“. ამათგან პირველი უფრო ძველ, ხოლო მეორე შემდგომ განვითარებულ ფორმადა მიჩნეული. გძელური სახლები, რომლის საკედლე მასალად იყენებდნენ განათალ წახნავოვან ძელს ან ფიცარს, იყო წავრძელბული, სწორკუთხა, ძირითადად ერთგანყოფილებიანი. დარბაზის ერთ მხარეს, რომელსაც „ჯალბ“-ს უწოდებდნენ, მიწის იატაკი ჰქონდა, მისივე ცენტრში იყო მოწყობილი კერა და მთელი ფართობის ნახევარზე მეტი გვაქვ; მეორე მხარეს კი, ე. წ. „საწოლ“-ში ფიცარის იატაკი გვო და მიწური იატაკის ნიშნულზე. 15-20 სმ-ით მაღალი იყო. ამ ტიპის სახლის განვითარების შემდგომ საფეხურზე (კოლხეთის ტერიტორიაზე) ჯალაბსა და საწოლს შორის ჩნდება ტიხარი. რაც ტიპიური ორთახიანი ოდა-სახლის წარმოშობის ერთ-ერთ ელემენტადაა მიჩნეული. დარბაზის თავსა და ბოლოში მოქცეული იყო განიერი ღია დერეფანი, რომლის იატაკი ჯალაბის მხარეს მიწის იყო, საწოლის მხარეს — ხის. ინტერიერში არსებული გრძელი ლოჯინები ზოგან სრულიად მოიშალა და მის მხარეს კედლის ცენტრალური ნაწილი ბუხარმა დაიკავა, ესეც ოდა-სახლის განვითარების ერთ-ერთი ელემენტია. მშენებლობისათვის მოხდენილად იყენებდნენ რთულ რელიეფს. ხშირად კლდოვანი ფერდობის ცალ მხარეს იქმნებოდა პირველი საართული, რომელიც სამეურნეო დანიშნულებისათვის, უმეტესად ბოსლად გამოიყენებოდა. თუ სახლს ძირიდან ლამფას გააკრავდნენ „ლამფიან სახლს“ ან „კარნიზიანს“ უწოდებდნენ. ძველად ასეთი

2. ძეგლის მეგობარი № 1 (1988).

საქ. სსრ კ. პარტიის  
სახ. სახ. რესპუბ.  
ბიბლიოთეკა



სოფ. იტავაზა, ს. შორშიძის საცხოვრებელი კომპლექსი.

С. Итаваза, жилой комплекс С. Шаориадзе.

გძელური სახლები გლეხობას ჰქონდა, თავადზნაურობა კი პალატიან ან მთლიანად ქვიტყირის სახლებს იშენებდა. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ვაიხსენოთ თუ როგორ აგვიწერს აკაკი წერეთელი თავის ძიძისეულ სახლს. წერეთლების ორსართულიან ქვიტყირის სახლისაგან განსხვავებით, ის იყო „ისლით დახურული ხის სახლი წინა და უკანა კარებით, უფანჯრ-უსარკმელო, მხოლოდ ორი საკვამლურით, ანუ საუფაფურით, საიდანაც კვამლი გადიოდა და სამაგიეროდ სინათლე შემოდისოდა. შუა კერაზე, მხარ-თეძოზე წამოწოლილი, დევივით იდგა დიდი, უზარმაზარი ჩირკვი და გაუსხლეტლად ზამთარ-ზაფხულ ცეცხლი გუზგუზებდა“.

ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, როდესაც ზურაბ შუკაკიძე პერევეში ავიდა საცხოვრებლად (XIX ს-ის 70-იან წლებში), ტყე გაჩეხა და ხის გძელური სახლი აიშენა. სახლში ხარბობით შექმნილი დიდი მორები და კერაზე დებდნენ, სადაც გამუდმებით ენთო ცეცხლი. სახლი დაბალი ტიხრით იყო შუაზე გაყოფილი, ცალ მხარეს ოჯახი ცხოვრობდა, მეორე მხარეს კი საქონელი ჰყავდათ. კარაც ორი ჰქონდა, ერთი ხალხისთვის და მეორე საქონლისთვის. ბესარიონ შუკაკიძის მამას და ბიძას

დმიტრის და სოლომონს კი, რომლებიც XX ს-ის 30-იან წლებში გაიყარნენ, ორსართულიანი გველური სახლი ჰქონდათ. სახლი ყავრით იყო დახურული. იატაკი მიწისა იყო — „სოხანე“ და შიგ შუაეცხლი ენთო, პირველ სართულზე — პალატში მსხვილფეხა საქონელი ჰყავდათ, ზემოთ კი ოჯახი ცხოვრობდა. სოფ. შუა ქარქანში ვარდენ სპირიდონის ძე ბახტურიძის ოჯახში შემორჩენილ ოჯახის გაყრილობის საბუთში, რომელიც 1934 წელს არის შედგენილი, დასახელებულია „დარყის ერთი გველური ძველი მუხის სახლი გამართულობით, ქვეშ ქვის ქვითყირით, დახურული კრამიტით, ოთახით და წინ დერფენით“.

რაც შეეხება საჩხერის შედარებით დაბალ ზოლში მდებარე სოფლებს: სოფ. კალეთაში ვასილ კაპანაძის გადმოცემით, ადრე ყველას უბრალო გველური სახლი ჰქონდა, მასში ცხოვრობდნენ და საქონელიც შიგ ჰყავდათ. ასეთ სახლში უცხოვრიათ მთხრობლის წინაპრებსაც. ხუთ მძას თავიანთი ცოლშვილით; სერგო შაორშაძის წინაპრებს — გლახუნა შაორშაძის ოჯახს, XIX ს-ის მეორე ნახევარში. სოფ. იტავაზაში, სოფლის ზემოთ, რომელსაც ახლა ნამოსახლარს უწოდებენ, ჰქონდათ ძველებური ერთსართულიანი, ჩალით დახურული მუხის სახლი. მისი გადმოცემით, ჩალით დახურვა ყველამ არ იცოდა, ამისთვის სავანგებოდ მოჰყავდათ ხელოსნები. ერთი პირი ჩალა რომ დაღებოდა ზემოდან სხვას დაამატებდნენ. საბოლოოდ ეს ჩალა სახლის სახურავზე მიწდებოდა და ზედ ბალახი და სიმინდიც კი ამოდიოდა. სახლის შუაში კერა იყო მოწყობილი, ხოლო კერის თავზე —ერდო. საკარმიდამო კომპლექსში შედიოდა მარანი და „ნამშრალები“ — ბოსელი, საბძელი, საქათმე, ბეღელი, შუშის დასახეზი ფარდული და სხვა. ზშირად სახლის დასახურად იყენებდნენ გრძელფეროიან ბალახს — ეწერს. სოფ. არგვეთში დათია და ვარსია ბერიძეების გველური სახლი მრგვალი ხეებით იყო ნაგები. მას ფსადიდან შესასვლელი მიწის პირზე ჰქონდა, უკანა მხრიდან კი ორსართულიანი იყო და მისი პირველი სართული — ქვითყირი, სხვადასხვა სამეურნეო საქიროებისათვის გამოიყენებოდა. ოთახის გვერდით კედლებზე მოწყობილი იყო ხის ტახტები — „გამწია ლოგინები“. ცენტრში კი შუაეცხლი ენთო. შუაეცხლის უკანა მხარეს იდგა მაღალი, გრძელი „სამაგრისების ქვა“, რომელზედაც შუშას — დიდ ხეებს დაადებინებდნენ თავს. სამაგრისების ქვის ორივე მხარეს კი ასევე გრძელი ქვები „კერიები“ იყო მოლაგებული. მთხრობლის გადმოცემით, ძლიერი ოჯახების პატრონებს მაღალი, ჯვრით გამოსახული კერიები ჰქონდათ, სხვები კი დაბალი, უბრალო კერით კმაყოფილდებოდნენ. კერიის თავზე იყო ერდო კვამლის გასასვლელად, სადაც მოწყობილი ჰქონდათ „ლორწმები“ ხორცისა და კუბატის ჩამოსაკიდებლად.

ოღასახლის ტიპური ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ იტავაზაში სოზარ შაორშაძის სახლი, რომელიც XIX ს-ის ბოლოსაა აშენებული. ეზო დაფურდებულია, ტერასირებული. რელიეფის შესაბამისად, სახლის ერთი გვერდი — ჩრდილოეთის მხარე, ეზოს ზედა ტერასას ებჯინება, სამხრეთის მხარე კი ორსართულიანია, ქვეშ ქვითყირის პალატი აქვს გამოშენებული. ერთხანს პალატი ერთი საქორწინო წველის საცხოვრებლად გამოიყენებოდა, შემდეგ კი სამეურნეო დანიშნულება მიიღო. აქვეა მეორე თვალი პატარა პალატი, რომელსაც აივნის ქვეშ შექმნილი ფარდულიდან ცალკე შესასვლელი აქვს და ყო-

ველთვის სამეურნეო მიზნით გამოიყენებოდა. პალატს ზემოთ ხის ოთახ-  
ლის სამი ოთახი თავდაპირველად ერთრიგად იყო განლაგებული, მხოლოდ  
სივრცეზე აივანი მიუყვებოდა. შემდგომში ჩრდილოეთით მდებარე ოთახი წინ,  
აივნის ხარჯზე, კვადრატული ფორმის პატარა ქვითიკრის ოთახი მიუშენდა,  
გაუკეთდა ბუხარი, ფანჯარა და ფსადიდან ცალკე შესასვლელი კარი და  
მეორე — აივანზე გამოსასვლელი კარი ფიცრის ტიხარში. მოგვიანებით აი-  
ვანი კიდევ დამოკლდა, სამხრეთით მისი ნაწილი შეიშინა და სახლს პატარა  
კვადრატული ფორმის შუშაბანდი დაემატა. სახლი ოთხფერდა სახურავიანი,  
ოთახები ფიცრის ტიხრითაა ერთმანეთისაგან გამოყოფილი და ორ მათგანს  
აქვს ბუხარი საერთო საკვამურით. ამჟამად მისმა მფლობელმა ახალი სახ-  
ლი აიშენა და ცხადია, იმერულ საცხოვრებელ ნაგებობათა ეს ერთი ქველი  
ნაშთიც მალე აღიგვება პირისაგან მიწისა.

როგორც ვხედავთ, საჯალაბო სახლის — გელურა სახლის საცხოვრე-  
ბელი ფართის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენდა კერა, რომლის ირგვ-  
ლივაც განლაგდებოდნენ ოჯახის წევრები და სრულდებოდა სხვადასხვა რი-  
ტუალური წეს-ჩვეულება. დადგენილია, რომ საქართველოს ყველა კუთხეში  
და არა მარტო საქართველოში, კერა იყო სახლის ცენტრალური ნაწილი და  
ოჯახის გამაერთიანებელი. მასთან ხდებოდა რიგი სამართლებრივი საკითხე-  
ბის გადაწყვეტა: ნიშნობა, პატარძლის კერაზე შემოტარება, მომკ-  
ვდავის კერასთან დაწვევა და სხვა ასტრალურ ნაყოფიერებასა და მი-  
ცვალბუბლის კულტთან დაკავშირებული ცერემონიალები. ყოველივე ეს კე-  
რის კულტთანაა დაკავშირებული, რასაც უდიდესი ადგილი ეკუთვნის ჩვენი წი-  
ნაპრების წინაქრისტიანულ სარწმუნოებაში. ამ შემთხვევაში, ჩვენს ყურა-  
დღებას იქცევს იმერულ სახლში ოჯახის წევრთა განლაგება კერის ირგვლივ  
და ამის მიხედვით საცხოვრებელი ფართის განაწილება სამამაკაცო და საღია-  
ცო მხარეებად.

ზემოაღნიშნული გარსია და დათია ბერძენების სახლში (არგვეთში) რო-  
დესაც ოჯახის წევრები ცეცხლს შემოუსხდებოდნენ, ერთი „კერიის“ თავში გა-  
რსია დაჯდებოდა, მეორე „კერიის“ თავში — დათია და მათი მონაგრებიც ასევე  
განლაგდებოდნენ. გარსიას და დათიას ორივეს ჰქონდა თავისი დაბალი საწ-  
ფები. შედარებით განიერი, ცხვრის ტყავგადაკრული სკამი, რომლებზედაც  
სხვა არაფერი არ დაჯდებოდა. მათზე რომ შემთხვევით მეზობლის ქალი დამ-  
ჯდარიყო სკამს ცეცხლზე მორუჯავდნენ, იტყოდნენ რა ვიცი რა მდგომარე-  
ობაში იყავო. იგრახე კერასთან ორი დაბალი სუფრა გაიშლებოდა, ერთი  
გარსიასა და მისი მონაგრისათვის, მეორე დათიასა და მისი მონაგრისათ-  
ვის, პირველად ლუკმაც უფროსებს უნდა გაეტეხათ, მანამდე სხვები ხელს  
ვერაფერს ახლებდნენ. ქალები, მას შემდეგ რაც სუფრას გააწყობდნენ, სუ-  
ფრის ბოლოში სხდებოდნენ ბავშვებთან ერთად. ამდენად, უფროსი თაობის  
ორივე წარმომადგენელს კერასთან საპატიო ადგილი ეკავა, მიუხედავად იმი-  
ნისა, რომ ოჯახს ერთი ხელმძღვანელობდა. თვალში საცემია ისიც, რომ საც-  
ხოვრებელი ფართის დანაწილების ტრადიციული პრინციპები სამამაკაცო და  
საღიაცო მხარეებად დარღვეულია. ოჯახის წევრები კერასთან განლაგდებო-  
ნენ არა სქესობრივი ნიშნის მიხედვით, არამედ, პირველ რიგში ყურადღებას  
აქცევდნენ თუ ვისი შთამომავლობის იყვნენ. ვფიქრობთ, ამ ტრადიციულ

ნორმების დარღვევა უკვე ბზარია ქალაქის ერთიანობაში და მხადდება პირობები მისი დაშლისათვის.

მეორე შემთხვევაში, გლახუნა შაორშაძის ოჯახში (იტაეზაში) ოჯახის უფროსი გლახუნა იყო. მას კერის მარჯვენა მხარეს ედგა მაღალი, ხარიხებიანი სკამი. აქ კერის და აქედან გამომდინარე, სახლის შინა ფართობის მარჯვენა მხარე სამამაკაო იყო, მარცხენა — სადიაცო; ქალები და კაცები ცალ-ცალკე სხდებოდნენ იჯრაზე, კერასთან კაცებისთვის ცალკე იშლებოდა სუფრა, ქალებისთვის ცალკე და ბავშვებისთვის ცალკე. როგორც ვხედავთ, გადმონაშთის სახით შემონახული არქაული წეს-ჩვეულებები აქ უფრო რელიეფურადაა გამოკვეთილი. ეს საესებით ბუნებრივია, რადგან პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს XX ს. დასაწყისთან, ხოლო მეორე მავალითი ეხება XIX საუკუნის მეორე ნახევრის ტრადიციულ ოჯახს.

ამგვარად, იმერული ტრადიციული საცხოვრებელი კომპლექსები საესებით პასუხობდა დიდი ოჯახის მოთხოვნილებებს, მათი ფართის ყოველი ნაწილი მაქსიმალურად იყო ათვისებული. როგორც რ. ხარაძე აღნიშნავს, თვითონ სახელწოდება „საჯალაბო სახლი“, რომლის შუაშიც მოწყობილი იყო კერა, დიდი ოჯახის აღმნიშვნელია. შემდგომში საცხოვრებელი ნაგებობის ეს ტიპი შეცვალა ოდა-სახლმა, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგებოდა — დაბლა პალატისა და ზემოთ ოდისაგან, რის შემდეგაც საჯალაბო სახლი მხოლოდ სამზარეულო ფუნქციას ასრულებდა. კერის რიტუალური მნიშვნელობა, რაც ქართულ ოჯახში გადმონაშთის სახით შემოინახა, საერთოდ ცნობილი და გავრცელებული მოვლენაა. ყველა რიტუალური წეს-ჩვეულება ქართულ ოჯახში, ისევე როგორც სხვა ხალხებში, კერასთან სრულდებოდა. აქვე იკრიბებოდა ოჯახი ვახშამზე და წყდებოდა ყოველდღიური ცხოვრებისეული საკითხები. ამიტომ ბუნებრივია, რომ დიდი ოჯახის საცხოვრებელში კერას მთავარი ადგილი ეკავა მთელი თავისი დამახასიათებელი ელემენტებით. ჩვენს მიერ მოტანილი ეთნოგრაფიული მასალაც საესებით შეესატყვისება აღნიშნულ ნონაცემებს.

1. ა. ადამია. ხალხური ხეროთომოდერების ზოგიერთი ნიმუში მდ. ყვირილას ზემო დონების ხეობაში. ძეგლის მეგობარი, 12, თბ., 1967, გვ. 37.

**ბუხრის რამდენიმე ნიშუში იმერეთიდან და ლეჩხუმიდან**

ქვითხურობის ტრადიციები თვალსაჩინოდაა გამოხატული ბუხრების მშენებლობაში. გათბობის ვარდა ბუხარი წარმოადგენდა სახლის სამკაულს და ამიტომ მისი მშენებლობა ოჯახისათვის საკმაოდ პრესტიჟული იყო.

როგორც ცნობილია, ბუხარი კერიდან განვითარდა. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში XVII-XVIII საუკუნეებში ბუხარი უფრო მეტად დეკორატიული მინუბისათვის გამოიყენებოდა და მათი შემკულობა ამ მიმართებით განსაკუთრებით დაიხვეწა, მაგრამ ფაქტია, რომ ბუხარი თავდაპირველად სახლის გასათბობად იყო გამიზნული და მისი დეკორატიული ფუნქციის გაზრდა გამოწვეული იყო მას შემდეგ, რაც საცხოვრისი გათბობის უფრო ეფექტურ საშუალებას მიაგნეს.


ქართულ სინამდვილეში ბუხრის მშენებლობის ხერხები შემოტანილია დასავლეთის ქვეყნებიდან, მაგრამ ჩვენში არსებულმა ხუროთმოძღვრულმა ტრადიციებმა განაპირობეს მათი გაფორმების ეროვნული სტილი. ბუხრის მშენებლობა უმტკივნეულოდ გადმოირგა ქართულ ნიადაგზე და ისეთი ეროვნული მოტივებით შეიმოსა, რომ დღეს თითქოს წარმოუდგენლად გვეჩვენება მათი წარმომავლობის არაქართულობა.

ბუხრების მშენებლობას საქართველოში პროფესიული ხასიათი ჰქონდა სპეციალობა „მებუხრე“ წარმოიქმნა იმ მოთხოვნილების საფუძველზე, რომელიც არსებობდა შეძლებული მოსახლეობის შიგნით და წაყენებული პირობები ხელოსანს ავალდებულებდა სათანადოდ დაუფლებოდა ბუხრის შენების ყველა ხერხს. სწორედ ასეთი დაინტერესება ქმნიდა ბუხრების ისეთ მაღალმატვრულ და პრაქტიკულად მოსახერხებელ ტიპებს, რომლებიც დასტურდება საქართველოს ყველა კუთხეში.

ბუხრის მშენებლობას სავანებო წესები გააჩნია, რაც გამოიხატება, როგორც შენების თავისებურებაში, ასევე საბუხრე მასალის სწორად შერჩევაში. ნებისმიერი ქვა ბუხრისათვის არ გამოდგება.

ეს განსაკუთრებით ეხება ბუხრის იმ ნაწილებს, სადაც ცეცხლი ინთება და ქვა სითბო-სიცივის გამუდმებულ ცვალებადობას განიცდის. ასევე არ შეიძლება საბუხრე ქვას ასაფეთქებელი ნივთიერებით მოპოვება, რადგან აფეთქება „ლაზავს“ ქვას და მიზეზი შემდეგ გამოჩნდება. საბუხრე ქვა „უტალო“ და „უარტაშანი“ უნდა იყოს. ბუხრის საცეცხლე ადგილებისათვის საუკეთესოდ ითვლება მოშავო-მოღურჯო, ზოგჯერ კი მოწითალო ქვა. ამ ქვის ღირსება მისი ცეცხლგამძლეობით გამოიხატება.

ბუხრის იმ ადგილს, სადაც ცეცხლი ინთება „ყვერბი“ ანუ „ტაფა“ ეწოდება; ყვერბი ბუხრის საფუძველსაც წარმოადგენს, რომელზედაც იდგმება ბუხრის ფეხები; ფეხებზე დაბეჭდილია თალიანი „წინპირი“, შემდეგ მიდის ბუხრის „სასანთლე“ ანუ „თარო“, იგი საკმაო მანძილითაა გამოყოფილი კედლისაგან და ბუხრის არქიტექტონიკაში თავისებური მონდენილობა შეაქვს, სასანთლეს ზემოთ იწყება ბუხრის „ყელი“ — ნაშენი სუფთად გათლილი ქვით; ყელი გაივლის სხვენს, ასილდება სახურავს იმ ზომამდე, რომ ქარმა ბუხა-



ფრიდონ და ამირდონ წერეთლების  
ბუხარი საჩხერედან.

Камин Ф. и А. Церетели из  
Сачхере.

რში კვამლი არ მოაბრუნოს. ბუხრის დამამთავრებელ ჯეტალს მისი „ქუ-  
დი“ ანუ „კალამი“ (ლენჩ.) წარმოადგენს, ესაა ოთხკუთხედ გთლილი ქვის  
ჩარჩო, რომელიც ჩამოეცმევა ბუხრის ყელს და ამავრებს მას. ბუხრის ავ-  
კარგიანობისათვის მთავარია წინპირისა და „ბურჯის“ დაყენება. წინპირის  
საკვამლე მხარე გულამოღებულია, ბუხრის ზურგი კი უკანაა „გადაყინთუ-  
ლი“, რაც ხელს უწყობს კვამლის დაუბრკოლებელ მოძრაობას ქვემოდან ზე-  
მოთ. ბუხრის ყელი ძალზე სწორად უნდა იქნეს აგებული, კვამლი გამოშვე-  
რილებს არ უნდა ხედებოდეს თორემ უკან დააბრუნებს. ბუხარში თუ კვამლი  
კარგად აღის იტყვიან „კარგი მეკვამურია, კარგი წვეა აქვსო“, ბუხრის წი-  
ნპირი, სასანთლე და ყელი საუკეთესო თეთრი ქვით კეთდება, ამასთან მხე-





დეკლარაციაში მიიღება ქვის სირბილე, რაც აუცილებელია ჩუქურთმის ამოჭრისათვის. ბუხარის შემკულობის გარეშე ვერ ჩაითვლება ისე, როგორც მელიც მის პატრონს სხვათა თვალში გამოაჩენს. ორნამენტები ბუნებრივ სხვადასხვა სახისა არსებობს, როგორც გეომეტრიული, ასევე მცენარეული. ბუხრის შემკულობაში გამოირჩეული ადგილი უჭირავს ზოომორფულ ფიგურებს, სიცოცხლის ხესა და ბორჯღალას, რომლებიც მეტწილად ფასადის ცენტრალურ ადგილას გვევლინება. სიცოცხლის ხისა და ყვავილების სტილიზაცია თავს იჩენს ბუხრის მთელ მორთულობაში და განსაკუთრებული არქაულობით გამოირჩევა. როგორც აკად. გ. ჩიტია აღნიშნავდა, „ქერის კულტი თავისი შინაარსით გვარის, ოჯახის გამაერთიანებელი ცენტრი იყო, ხოლო კერა მარადიული სიცოცხლის სიმბოლო, ამიტომ მას ამკობდნენ აპოთროპეული დანიშნულების ორნამენტებით, ლთაებების გამოსახულებებით და სიმბოლური ნიშნებით“<sup>2</sup>, ასეთივე თაყვანისცემის საგანი იყო ქართული დარბაზის დედაბოძი, რომლის შემკულობის წესი უძველესიდან მომდინარეობს. დედაბოძი, როგორც სიუხვისა და მარადიული სიცოცხლის სიმბოლო გაძღვნილი თაყვანისცემის ობიექტს შეადგენდა. მათი მორთულობა სათავეს იღებს იმ უძველესი რელიგიური და კოსმოგონიური შეხედულებიდან, რომლითაც საზრდოობდა საქართველოს უძველესი მოსახლეობა. ამდენად, ტრადიციულობა ამ მხრივ განუწყვეტლივ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ იმ დრომდე, სანამ ქართულ საცხოვრისში კერაც და დედაბოძიც პრაქტიკული დანიშნულებით გამოიყენებოდა. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს ორიდან რომელმა უფრო ადრე დაკარგა ფუნქცია. მთავარია, რომ მათი მოშლის შემდეგ შემკულობის ტრადიციას თავის გამოხატულება უნდა ეპოვა ბუხარზე. ბუხარი უშუალოდ ჩნდება საცხოვრისის ახალ ტიპში. ძველებური ტიპის საცხოვრებლის მოშლამ გამოიწვია სახლის ახალი ტიპის წარმოქმნა, რის ნიადაგზეც მოხდა გასათობი საშუალების ცენტრალური ადგილიდან კედელში გადასაცვლება და მოგვევლინა ბუხრის სახით. ეს ცვლილება ძირითადად უკავშირდება დიდი ოჯახის დაშლას და ვარკვევულად ემთხვევა ისეთი გათიობის საშუალების დამკვიდრებას, როგორსაც ბუხარი წარმოადგენდა.


დასავლური ქართული ოდა-სახლის, კონსტრუქციული აგებულების გაცნობა გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ბუხრის დამკვიდრების აქ ყველა პირობა არსებობდა, მითუმეტეს, რომ ასეთი ტიპის სახლი თანდათანობით იხვეწებოდა და მიწური იატაკის მაგივრად ვრცელდებოდა ხის იატაკი — შეუფერებელი შუა ცეცხლისათვის. ამდენად, უნდა ითქვას, რომ ძველი საცხოვრებლის დიფერენცირების შემდგომ ბუხარმა ფეხი უფრო მოიკიდა მცირე ზომის სახლებში, სადაც მათი პრაქტიკული დანიშნულება გამართლებულ იქნა.

იმერეთის ბინათმშენებლობამ ბუხარი კარგად შეითვისა და თითქმის არ მოიპოვება ისეთი მოსახლე, რომელსაც მოჩუქურთმებული თუ არა უბრალო — „ხაში“, ბუხარი არ ჰქონდეს. ამასთან ზოგჯერ ერთ სახლში 2—3 დამეტი ბუხარიც დასტურდება. ბუხარს ხშირად ვხვდებით სამზარეულოსა და მარანში. შევნიშნავთ, რომ ბუხრის, სახლის სამკაულად გადაქცევის მიდრეკილება იმერეთშიც აღინიშნება და ეს თავს იჩენს ეკონომიკურად დაწინაურებული მოსახლეობის ფენაში. ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული



მამია ნემსაძის ბუხარი  
დიდი ქიხაიშვიდან.


Камин М. Немсадзе  
из Диди Джиханши.



ბუხრები განსაკუთრებული ზრუნვის შედეგადაა შემორჩენილი, უდიდესი ნაწილი განადგურებულია, ნაწილი კი დანგრეულია და სამშენებლო მიზნებისთვისაა გამოყენებული. ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა გამოგვევლინა ზოგიერთი მათგანის მაღალმატერულ დონეზე შექმნილი ნიმუშები, რომლებიც საუკეთესო საილუსტრაციო მასალას წარმოადგენს ადვალობრივი ქვით-ხუროთბის კვალიფიციურობის დამადასტურებლად.

გაფორმების თვალსაზრისით, საუკეთესო ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ ფრიდონ და ამირიდონ წერეთლების ბუხარი საჩხერედან,\* რომელიც დამზადებულია ბერეთისელი ზელოსნების მიერ. ბუხრის წინაპირი და მუხლები


\* ბუხრის ფოტო გადმოიყვანა პატრიცეველმა ს. ბოლქვაძემ ჩისთვისაც მადლობას მოახსენებ.



ბუხარი აკაკი წერეთლის  
საგვარეულო სახლიდან.  
სხვიტორი.

Камни из фамильного до  
ма Акакия Церетели.  
Схвиторы.

შემკვლეა იშვიათი სილამაზის ორნამენტებით. გვხვდება დაახლოებით 10-12 სახეობის ჭრელი, რომელთა ფორმები ქართული ორნამენტული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს უტოლდება. განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევა ბუხრის მუხლებზე გამოსახული წრეში ჩახატული ბორჯღალები. როგორც ცნობილია ბორჯღალა ნათებას, მოძრაობას, მზეს, სიმხურვალეს განასახიერებს. თავისი ფორმით ეს ნიშანი ძალზე ემსგავსება დედაბოძებსა და კერაზე დადასტურებულ ბორჯღალებს, რაც იმის მაუწყებელია, რომ იგი გენეტიკურ კავშირში იმყოფება არქაულ ძეგლთა მასალებთან და ვამაგრებლენელია ძველი ტრადიციისა. „ბორჯღალას დაკავშირება წრესთან ე. ი. ამ ნიშნის წრეში ჩახატვა უნდა გავიგოთ, როგორც მისი ასტრალური მნიშვნელობის გამოხატვა ორნამენტულში, რადგან უძველესი დროიდან მოცილებული წრის საბით ვაღმოიკვამოდა მზის და ცის ცნება“,<sup>3</sup> წერეთლების ბუხარზე მოცემული წრეში ჩასმული ბორჯღალები უთუოდ ამ მოსაზრების კარგ სააღუსტრაციო მასალას წარმოადგენს. სიმხურვალისა და ნათების თვალსაზრისით ბორჯღალას გამოსახვა ბუხარზე სავსებით უპრიანი იყო და უნდა ვიფიქროთ, რომ ამ სიმბოლოს რეალური შინაარსი გვიანობამდე ცნობილი უნდა ყოფილიყო ხალხურ ხელოვნებაში. ბუხარზე გვხვდება დიდი და მცირე ვარდლები, სიცოცხლის ხეები, ოთხკუთხა ჩარჩოში ჩასმული დიაგონალური წნულები და სხვა. ბუხრის შემკვლეობა, სიმბოლურ ნიშანთა წყება და მათი შედარება კარისა და დედაბოძის მსგავს ნიმუშებთან უეჭველს ხდის ბუხრის როლს ქართული ორნამენტისა და სიმბოლურ გამოსახულებათა დღეგრძელობისა და განვითარებისათვის.



სერაპიონ ირემადის ბუხარი  
ცხუეშენიდან (ლეჩხუმი).

Камень С. Иремадзе из Цхуку-  
шени (Лечхуми).

საუცუესო ნიმუშს წარმოადგენს მამია ნემსაძის ბუხარი დიდი ჯიხაში-დან. ბუხრის ძირითადი ღირსება წნულ ორნამენტშია გამოსახული, ასეთი დაბ-ვეწილი და სრულყოფილი „ქართული წნულები“ ზვენ გვხვდება განვითარებუ-ლი შუა საუკუნეების ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში. ორნამენტის მიმართ ასეთი ზრუნვა მიგვანიშნებს იმ მოკრძალებაზე, რომელსაც იწვევდა ბუ-ხარი მისახლეობაში.

ტრადიციის შენარჩუნების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს იონა კვიმ-საძის მიერ მოხუჭურთმებულა ბუხარი ჳოგნარიდან. რომელიც ხელოსანს შეუსრულებია 60-იან წლებში. ბუხრის შემკულობაში გამოვლენი-ლია ჳვაზე კვეთილობის ეროვნული ფორმები და უნდა ითჳვას რომ ხელოსა-ნი წარმატებით ფლობს ასეთი ფორმების გამოხატვის ხერხებს.

შესანიშნავი ბუხრები გვხვდება აკაცი წერეთლის საგვარეულო სახლში, ბუხრები დამზადებულია მანდაეთის (ჭიათურა) ქვისაგან. მათ მორთულობაში

დიდი ადგილი უჭირავს სტილიზებულ ორნამენტს, თევზებს, ფრინველებს და სიცოცხლის ხეს.

ზოომორფულ გამოსახულებათა თვალსაზრისით საინტერესოა ბუხარების გვხვდება ლეჩხუმში, სოფ. ცხუჯუშენში. ბუხარის ყელზე ვხვდებით მცენარეული სამყაროს აღმნიშვნელ ორნამენტებს, შუა ნაწილში წყვილ შველს (ან არჩვი), ბუხარის ნაპირზე ამოკვეთილია სიცოცხლის ხე, რომლის ძირში აქეთ იქით ოდნავ მუბღჩაბრილი და რქებგაბორჯლილი ირმები დგას. მათი პოზა შეიცავს თაყვანისცემის ელემენტს. განსაკუთრებით კარგადაა დამუშავებული ლომის ფიგურა, რომელსაც სახე მაყურებლისავე აქვს მოქცეული, აპრეზილი კული და რელიეფურად გამოკვეთილი ფაფარი ლომის სილიერტი-შთამავგონებლად გადმოსცემს. ყველა ფიგურა რეალისტურად, მაღალმატვრულ დონეზეა შესრულებული. რა შეიძლება ითქვას გამოსახვის ასეთი წესის მიმართ? ფიგურები, რომლებიც გამოკვეთილია 1937 წ. ესთეტიკური მიზნითაა გამოსახული, მაგრამ უძველესია, ეს ტრადიცია მომდინარეობს იმ უძველესი ჩვეულებიდან, რომლის თანახმად ირემსაც და ლომსაც ქართველთა რელიგიურ და მითოლოგიურ შეხედულებებში დიდი ადგილი ეჭირა. ასეთი ზოომორფული გამოსახულებანი ხშირად გვხვდება ჭერ კიდევ ადრესამიწათმოქმედო ხანის კერამიკისა და ლითონის ნივთებზე, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების შეჯერება ცხადყოფს, რომ ირეში და ჭიხვი ბუნების აღორძინების ძალებთანაა დაკავშირებული. ჩვენი წინაპრების წარმოდგენით სიცოცხლის ხეს ირემი და ჭიხვი იცავდა. მის პოპულარობაზე მიუთითებს გ. ჩიტაიას მიერ დამოწმებული სიცოცხლის ხე. სოფ. წინწყაროდან, რომლის აქეთ და იქით რქებგაბორჯლილი ირმები დგას, ლეჩხუმისა და წინწყაროს ნიმუშები აბსოლუტურად ემსგავსება ერთმანეთს და მიანიშნებს, რომ ბუხარზე გამოსახული ასეთი სიუჟეტი გაგრძელებაა იმ ჩვეულებისა, რასაც ადგილი ჰქონდა მატერიალური კულტურის სხვა რიგის ძეგლებზე. ასევე ითქმის ლომის შესახებ, რომელიც ხშირად სიცოცხლის ხესთან გამოიხატებოდა. ლომის სიმბოლური მნიშვნელობებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმოა, მისი წარმოდგენა, როგორც მცხუნვარებითა და ცეცხლით აღსავსე ცხოველისა, მოცემულ შემთხვევაში ჩვენ გამოიწვევს მოქმედებასთან არ გვაქვს საქმე, მაგრამ ტრადიციულობის თვალსაზრისით იგი გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს.

ფეხებიანი ბუხარების გარდა იმერეთში გვხვდება ე. წ. „დაკიდებული ბუხარები“, რომლის წინაპრი ჩვეულებრივ ბუხართან შედარებით ძალზედ გამოწეულია და კვამლის ასვლისათვის დიდ მოცულობას ქმნის. მისი ტაფა ასევე გრძელია და ყველანაირი სიდიდის შეშა ასეთ ბუხარში ადვილად თავსდება. გამოყენების თვალსაზრისით მისი ფუნქცია უფრო აქტიურია და დასტურდება სამზარეულო და ნიადაგ სამყოფ ოთახებში. მოჩუქურთმებული, ფეხებიანი ბუხარები, დიდ სასტუმრო (ე. წ. „ზალა“) ოთახებში გვხვდება და საგანგებო შემთხვევისას (სტუმრიანობა, ქორწილი, ქელუხი) გამოიყენება. ამიტომ მათი გაფორმების თავისებურებაში დიდ ადგილს იჭერს ჩუქურთმა, რაც ბუხარს სამკაულის იერს ანიჭებს.

შემკვლავის გარდა, ბუხარმა შემოინახა ადამიანთა დამოკიდებულების ზოგი ისეთი წესი, რომელიც ადრე კერასთან იყო დაკავშირებული. ლიტერატურაში, რომელიც ბუხარის ადგილმდებარეობის განსაზღვრას ეხება, არაა დადგენილი თუ რომელ მხარეს უნდა აღემართათ იგი, ამ მხრივ არც ჩვენთან, შეინიშნება გარკვეული წესი.

ამ ბოლო დროს, ბუხარს რკინის ღუმელი გამოუჩნდა კონკურენტად, რის გამოც, საცხოვრისში ბუხარის ფუნქცია კიდევ უფრო დაქვეითდა—განსაკუთრებით ზამთარში. მხოლოდ „სამზადებს“ შემორჩათ მოქმედი ბუხარი. საცხოვრებლის თანამედროვე ახალ ტიპში ქვის ბუხარი აგურისამ შეცვალა, რომელიც არა იმდენად საჭიროებისათვის შენდება, რამდენადაც ტრადიციულობისა და სიძველის პატივსაცემად.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი ბუხრები ყურადღებას იქცევენ, როგორც ქვის დამუშავების მაღალი კულტურით, ასევე შემკვლეობის მანერით. ბუხარის მორთულობა სათავეს იღებს კერისა და დედაბოძის გაფორმების უძველესი წესებიდან და ამდენად იგი მოსახლეობის რელიგიურ და კოსმოგონიურ შეხედულებათა დანაშრეკების მატარებელია.

1. БСЭ, издание II, т. 19, 1953, стр. 535.

2. გ. ჩიტაია, სოცოცლის ხის მოტივი ლაზერ ორნამენტში, „ენიშკის მოამბე“, X, 1941, 33-310.

3. ირ. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, 1986, გვ. 76.

4. ირ. სურგულაძე, ზომორთული სიმბოლიკის შესწავლისათვის, იხილეთ შრომები ტ.

243, 33-130.

მადონა ხაზარაძე

### ქართული ხალხური ხის ზურაული (კოვჩევი)

ეთნოსის მატერიალური კულტურის ტრადიციულ სახეებს ჭურჭელიც განეკუთვნება, რომლის შესწავლას, როგორც აკად. ივ. ჭავჭავაძის ინიციატივით, კულტურის ისტორიისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი საინტერესოა როგორც ტექნიკის, ისევე მხატვრული შესრულებისა და კულტურის განვითარების თვალსაზრისით.<sup>1</sup>

ქართული ჭურჭლის მრავალფეროვან სახეებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ხის ჭურჭელს უკავია. იგი ფორმისა და ფუნქციის განსაკუთრებული ნაირგვარობითა და დამზადების ტექნიკის მაღალი დონით გამოირჩევა, რაც სათანადოდ აისახა მდიდარ ტერმინოლოგიაში.

ხის ჭურჭლის სახეებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი კერძისათვის განკუთვნილ ჭურჭელს უკავია, რომელთაგან ჩვენ კოვჩებს განვიხილავთ.


ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ნაირი სახისა და დანიშნულების კოვჩია გავრცელებული. მრავალფეროვანია მათი აღმნიშვნელი ტერმინებიც.

ყოფაში გავრცელებული კოვჩების დახვეწილი ფორმები, რომლებიც ფუნქციის თავისებურებითაა განპირობებული, ქართველი მეურნის მრავალსაუკუნოვანი ემპირიული ცოდნისა და მდიდარი საწარმოო გამოცდილების ერთ-ერთი სანიმუშო მაგალითია.

სულხან—საბა ორბელიანის განმარტებით, „კოვჩი ლუქმის შთასადებელი ნიჩაბია“. ნ. ჩუბინაშვილთან — „კოვჩი მცირე ციცივია მეტალისა გინა ხისა, სახმარი დასასხმელად ან საკმელად წენიანთა“.

კოვჩებს ჩვენ მარტივად გათლილ ჭოხებსაც მივაკუთვნებთ, ამგვარი კოვჩი-ჭოხი მრავლადაა გავრცელებული ყოფაში და დღესაც ფუნქციონირებს. მრგვალ, მარტივად გათლილ ჭოხს ნაღების, შედედებული რძის, კვეთის, სულუგუნის, საფუარის და ღობის მოსარევედ იყენებდნენ. მისა სახელწოდებებია: „სუთი“ (იმერეთი, გურია, მესხეთი), „სარსა“//„კირხა“ (სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი, გურია), „სარხე“ (სვანეთი), „სარეველა“ (თუშეთი, მთიულეთ-გუდამაყარი).

ყოფაში მსხვილთავიანი ჭოხებიც გვხვდება, რომლებიც რაჭა-ლეჩხუმში „კერკვეშოლას“//„სატუკავის“ სახელწოდებითაა ცნობილი. მას მოხარშულ ღობიოს დასარესად და ხილის დასაჩეჩვედ იყენებდნენ. მისი ძირითადი ფუნქცია — მოხარშული ღობიოს დასრესა, მხოლოდ რაჭის ყოფისათვისაა დამახასიათებელი. ეს გარემოება, როგორც ცნობილია, რაჭული სამხარეულოს თა-



1—4, 8, 9, 12—13, 14 — ქიტი თუშეთიდან და ზევსურეთიდან; 5, 6 — კონხი თუშეთიდან და ზევსურეთიდან; 7, 11, 15, 17—18 — კოვზები ფშავიდან და ზევსურეთიდან; 10 — ქაფქირი ვლადიკაველიდან; 19 — ფაფის სარევიანი ზევსურეთიდან; 20—22 — სამტოტი ზევსურეთიდან.

Грузинские народные деревянные ложки.



გისებურებით — ლობიოჩართული პურის დამზადება — არის განპირობებული.

კოვზის ფუნქციას ასრულებდა აგრეთვე სამ, ოთხ, ზოგჯერ ხუთჯერადაც ჯოხი, რომელსაც უმთავრესად ფაფის, ფელამუშის, ლობიოს დამზადებისას იყენებდნენ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მას შექამანდისათვისაც იყენებდნენ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ასეთ ჯოხს „ფოცხაკა“//„სამტრია“//„ფოცხე“//„ფოცხე“ ეწოდება. სვანეთში „ფუცხ“//„ფურცხე“ რჯინის ჩანგალია. ამავე მნიშვნელობითაა მოხსენიებული იგი ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში (სინას მთის ხელნაწერები, ოშკის ბიბლია).<sup>2</sup> დასავლეთ საქართველოში მას „ლაფერას“//„ლაფერთხას“ (რაჭა-ლეჩხუმი), „ეიშხას“ (სვანეთი), „ჭარაბას“ (ქვემო იმერეთი), „სამკაპალას“ (ზემო იმერეთი), „ბურეკეს“ (გურია) ეწოდებენ. იგი ნაძვის ხის ბუნებრივად გაზრდილი ტოტია, რომლის ტარის სიგრძე — 40 სმ უდრის, იმისათვის, რომ ჯოხმა ქვაბში თავისუფლად იმოძრაოს, ტოტების სიგრძე 4-5 სმ არ უნდა აღემატებოდეს.

ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გავრცელებული ბრტყელპირიანი კოვზები რამდენიმე ფუნქციას ითავსებენ. იყენებდნენ მათ ლუდის დასამზადებლად, მხალის და მწვანე ლობიოს დასაკებად, საქმლის ქაფის მოსახდელად, თაფლის სარაჯის ამოსაღებად. ქართლში იგი „ჩეკის“, იმერეთსა და გურიაში — „ლაფერას“//„ჩოგანის“, რაჭა-ლეჩხუმში — „ხოწის“//„საკეპელას“, სვანეთში — „კიზის“, სამეგრელოში — „ხვარჩინის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

ზემოაღნიშნულ ჯოხებთან დაკავშირებით, საინტერესოა შემინდვრებობაში გავრცელებული ხელით სამუშაო მარტივი იარაღები: „მარგილი“, რომელსაც მიწიდან ბოლქვების ამოსაყრელად იყენებდნენ, მასვე ხმარობდნენ სიმინდის, ლობიოს, ხახვისა და ნიორის მიწაში დასაბუნდნად. „სარეკი“ — ორკაპიანი ჯოხი, რომლითაც ბელტებს ფშენდნენ: „ჩეკი“ — ბრტყელპირიანი იარაღია, რომლითაც ბელტებს აფხვიერებდნენ. ხოლო პურის ყანებში სარეველა ბალახებს ამოძირკვავდნენ. ჩეკს იყენებდნენ აგრეთვე ველური მხალეულის შესაგროვებლად.<sup>3</sup> საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გავრცელებული ჯოხები-კოვზები ფორმითა და ფუნქციით (სამკაპა ჯოხი ფქვილის ბურთულებს შლის) შემინდვრებობის მარტივი იარაღების ანალოგიურია და უძველესი.

ხევისურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ორიგინალური ფორმის, ბრტყელი, ორნაწილიანი კოვზი ფაფის დასამზადებლად გამოიყენებოდა. მას ფუნქციის მიხედვით „საფაფენი“//„სარევაზი“ ეწოდება.

მრავალადაა ყოფაში შემორჩენილი გახვრეტელი კოვზი — ქაფქირი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მისი ძირითადი ფუნქციის გამო მას „სახინკლენი“ ეწოდება. ქაფქირის ნახვრეტების რაოდენობა ფუნქციანზეა დამოკიდებული: ხინკლის ქაფქირს ერთი ნახვრეტი, ხაქოს — სამი, ხოლო ხორცის ამოსაღებ ქაფქირს რამდენიმე ნახვრეტი აქვს.

გრძელპირიან, ოდნავ ღრმა კოვზს ფაფისა და მაწვნის საკმელად ხმარობდნენ. დასავლეთ საქართველოში (გურია, სამეგრელო) ამ კოვზს ძირითადად მესაქონლეები იყენებდნენ საძოვრებზე ყოფნის დროს. ამ კოვზის ფორმაზე



ჩვენი ყურადღება მიიქცია მთხრობლის განმარტებამ: „ამ კოვზის გათლა ყველა არ შეეძლო“. ჩვენი მასალებით კი, ცნობილია, რომ კოვზის გათლა მართლაც საქმიანობად ითვლებოდა და მისი დამზადება თითქმის ყველა მამაკაცს შეეძლო.

მრგვალირიანი, ღრმა, საშუალო სიდიდის კოვზებს — „აფიკა“, „ჰკაფ“ (ხევსურეთი), ლუკმის კოვზი (მთიულეთი, ქართლი, მესხეთი), ხოლო დიდს — ჩამჩა, ციცხვი, საწუნე (აღმოსავლეთ საქართველო), „კობზი“, „კვატუში“, „ყოშ“ (დასავლეთ საქართველო) სხვადასხვა კერძის საქმელად და დასასხმელად იყენებდნენ. კახეთში, თათარას დასამზადებელი გრძელტარიანი, ოდნავ ღრმა კოვზი, ასევე ფორმის ორიგინალობით გამოირჩევა. მას პირის უკანა მხარე ოდნავ მომრგვალებული აქვს, რათა კოვზი ჭვების კედლებს მოხერხებულად შეეხოს.

თუშეთში გავრცელებული ოთხკუთხა, მოგრძობიერიანი კოვზი — „ჭიტი“ სხვადასხვა ზომისა და დანიშნულებისაა, ფშავ-ხევსურეთში ჭიტს „თუშურასაც“ უწოდებენ, რაც ნათლად მეტყველებს მის წარმოავლობაზე. გრძელტარიანი ჭიტი ჩავესათვის (ბალახები — პიტნა, სალვიძალა, დუცი, გულბანდი, მოხარშული იკმევი. მას ზაფხულში ახმობენ, წნავენ და ისე ინახავენ. სამთარში ხარშავენ და პურთან ან ქუმელთან ერთად ჭამენ); პირგადაშლილ ჭიტს „დარკოს“ (წყალში გახსნილი დაფქვილი ქერი) სასმელად იყენებდნენ. თუშური ჭიტი მსგავსებას პოულობს დალესტურ ასეთივე ფორმის კოვზთან, რომელსაც განსაკუთრებით ულვაშიანი მამაკაცისათვის ამზადებდნენ.

თუშ-ფშავ-ხევსურეთში დიდი, ოთხკუთხაპირიანი ღრმა კოვზი — კონჩხა/კონხო ასევე წვენიანი კერძისათვის იხმარებოდა. გრძელტარიანი კონხო წყლის, რძის, ლუღისა და „ბუყის“ (არყის გამოხდის შემდეგ დარჩენილი ნაჩარში) დასალევად გამოიყენებოდა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კოვზი-სასმისიც გვხვდება, რომელიც შუალედური ფორმაა კოვზსა და სასმისის შორის, იგი ორივე ფუნქციას ითავსებს. ასეთია ფშავ-ხევსურული „კოში“, „ტარკოში“, რაჭული — „კვატუში“, მეგრული — „მურძვა“.

ამგვარად, საქართველოში გავრცელებული კოვზების წარმოშობა-განვითარების სქემა ასე წარმოგვიდგება: სწორი ჯოხი, სამ ან ოთხტოტიანი, ბრტყელირიანი, ოდნავ ამოღრმავებული, მრგვალი და ოთხკუთხაპირიანი ღრმა კოვზები.

ტერმინი კოვზი, როგორც ენათმეცნიერი გ. კლიმოვი ვარაუდობს, ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის ხანას განეკუთვნება, მეგრ. — კიზი, ჭან. — კუზი. არნ. ჩიჭობავას სიტყვა „კოვზი“ აღნაგობის მიხედვით, ჩვენი ენების ძველ კუთვნილებად არ მიაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ის ქართულში, მეგრულში და ჭანურში გვაქვს.

კოვზი ძველ წერილობით ძეგლებში XI ს. გვხვდება (ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთემესი... 22, 25).<sup>4</sup> როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „ჯერ კიდევ XIV ს-ში კოვზებით ჭამდნენ, მაგრამ XV ს-დან კოვზები თანდათან ქრება და ხელით იწყებენ ჭამას. ამის შემდეგ დღევანდლამდე შემონახული ტერმინი „სალოკი თითი“, ხელით ჭამას ივ. ჯავახიშვილი სპარსეთის გავლენას მიაწერს.“<sup>5</sup>



არქეოლოგიური მასალებით, დასავლეთ საქართველოში (სამეგრელო) აღმოჩენილი კოვზები ძვ. წ. VI-V საუკუნეებით თარიღდება.<sup>1</sup> ერკინესული კოვზები ვაჭრობის საგანიც ყოფილა ძველად. „ძველ დამკვირვებლებს ვეზებიც უკეთებიათ და ამით ვაჭრობდნენ თურმე თბილისთან და ლორესთან.“<sup>2</sup>

ხის კოვზების უმრავლესობა ყოფაში დღესაც ფუნქციონირებს. იმ კოვზებს, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ თავისი ფუნქცია, აქა-იქ შემორჩენილი ხალხური ოსტატები კიდევ ამზადებენ. ჩვენის აზრით, სასურველია, კოვზის ის სახეები, რომელთაც გამოყენებით ფუნქციასთან ერთად გარკვეული მხატვრული ღირებულებაც გააჩნდათ, შესააღებლობის ფარგლებში აღდგენა სუვენირების სახით, რაც ქართული ხალხური ტრადიციული ხის კლტკლის შენარჩუნებისა და განვითარების ერთ-ერთი გზაა.

1. 5. ივ. ჩავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965, გვ. 41, 67.

2. 4. ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

<sup>3</sup> გ. ჯალაბაძე, სათოხნ-საჩორკნი იარაღის ძირითადი ტიპები და მათი გავრცელება საქართველოში, სსშ. ტ. XXXIV-B, თბ., 1979, გვ. 16; ჯ. სონღულაშვილი, მეზოსტნეობა თბილისის სანახებში, თბ., 1959, გვ. 101; ა. რობაქიძე, რაკის ეთნოგრაფიული მიელონების ანგარიში, ენიშკის შიამბე, ტ. IV, თბ., 1939, გვ. 315; 5. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1969, გვ. 79.

6. თ. მიქელაძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე, თბ., 1978, გვ. 59

7. ლ. მუსხელიშვილი, დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა), კრებული, შიოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938, გვ. 446.



ქართული წარმომავლობის ქრისტიანული ძეგლები ინგუშეთში

ქართველ და ვეინახ ხალხებს შორის პოლიტიკური, კულტურული თუ ეკონომიკური ხასიათის ურთერთობანი საქმაოდ აღრიდან იწყება და მას ხანგრძლივი ისტორია გაანჩია.<sup>1</sup> განსაკუთრებული, მკიდრო კავშირი ჩანს VIII-XII სს-ში, როდესაც საქართველოს საერო და საეკლესიო ხელისუფალნი ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კავკასიონის ჩრდილოეთის კალთებზე მცხოვრებ მთიელთა ქრისტიანობას. ასეთი მიმართულება ნაკარნახევი იყო იმ გარემოებით, რომ ამ დროს მხოლოდ ეს მხარე რჩებოდა მისიონერთა სამოქმედო ასპარეზად, სადაც ჭერ კიდევ არსებობდა პროზელიტების მოპოვების საშუალება, რომელთა ხარჯზე შესაძლებელი და აუცილებელიც იყო მრევლის შევსება. სწორედ ამ პერიოდშია არჩეული ვეინახების პოლიტიკური დაქვემდებარების ერთ-ერთ ძირითად ფორმად ქრისტიანობის პროცესი, რაზეც თარგიმის ქვაბულში აგებული ქრისტიანული ძეგლები მოწმობენ.

თარგიმის ქვაბული ინგუშეთის ცენტრალურ ნაწილშია მოქცეული. იგი საიშედოდაა დაცული ცენტრალური კავკასიონისა და კლდოვანი ქედებითა თუ მათი განშტოებებით. ქვაბული ძველთაგანვე ყოფილა ადამიანის მიერ ათვისებული და ინგუშეთის მთიანეთის ყველაზე დიდი დასახლებული პუნქტები ამ იყო ლოკალიზებული.

განსახილველ ძეგლებთან დაკავშირებით საქმაო რაოდენობის ლიტერატურა არსებობს. 1781 წ. ტუობა-ერდი უნახავს რუსეთის არმიის კვარტირმასტერს შტედერს, რომელიც თავის ნაშრომში იძლევა ძეგლის მოკლე, ზოგად აღწერილობას. ავტორი ყოველგვარი ანალიზის გარეშე იმეორებს ძეგლის ხალხურ პერიოდიზაციას, რომელიც XIX ს-მდე აგებულ თითქმის ყველა, რამდენადმე ღირსშესანიშნავ ნაგებობას თამარ მეფეს მიაწერს.

1811 წელს ტუობა-ერდი მოინახულა გერმანელმა გეოლოგმა შორიც ფონ ენგელჰარდტმა და თავისი დაკვირვებები შტედერის მასალებთან ერთად გამოცა კიდევ. ის იმეორებს ძეგლის ხალხურ დათარიღებას.

ტუობა-ერდის პირველ ვრცელ აღწერილობას და შეცნირულ ანალიზს იძლევა ვს. მილერი.<sup>2</sup> მკვლევარის დაკვირვებით ძეგლს რამდენჯერმე განუცდია რეკონსტრუქცია. ძეგლის დათარიღებისათვის ის პირველხარისხოვან მნიშვნელობას აძლევს დასავლეთის ფსადის ბარელიეფზე მოთავსებულ წარწერებს, რომელთა ასლებსაც წასაკითხად ქართული ეპიგრაფიკის შესანიშნავად მცოდნე დ. ბაქრაძეს უგზავნის. ამ უკანასკნელს იგივე წარწერები 15 წლით აღრე ჰქონდა უფრო სრულად გადაღებული. წარწერების გაშიფვრით ვს. მილერი და დ. ბაქრაძე ძეგლის პირვანდელ შრეს IX ს-ით ათარიღებენ.

ტუობა-ერდის შესახებ ვრცელადაა ლაპარაკი ა. გენკოს ნაშრომში. სამწუხაროდ, მკვლევარი ვერ ერკვევა როგორც ძეგლის არქიტექტურაში, ისე დეკორში, და ერთი ფილა დასავლეთის ბარელიეფიდან რატომღაც ანგელოზის გამოსახულებიანი ფილის ქვეშ გაჰქვს, რითაც ვჰქვეშ აყენებს ვს. მილერი-სა და დ. ბაქრაძის მიერ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დადასტურებულ ფაქტს იმის შესახებ, რომ წარწერებიანი ორი ფილა ბარელიეფის ზედა ნა-

წილში იყო ჩასმული. ეს ავტორს იმისთვის დასჭირდა, რომ წარწერა მთავარანგელოზს დაუკავშიროს და ამით არასწორად მიიჩნიოს ფაქტობრივი წაკითხვა. თავისი მოსაზრების დასადასტურებლად ა. გენგელპარდტს, თუმცა ამ უკანასკნელის მიერ გამოქვეყნებულ სტემაში საკმაოდ წარწერიანი ქვა ბარელიეფში ჩასმული და არა ანგელოზის გამოსახულებიანი ფილის ქვეშ.


ცალკე პუბლიკაცია მიუძღვნა ძეგლს ე. კრუბნოვმა. ავტორი იძლევა ტუბა-ერდის აღწერილობას. სახურავთან დაკავშირებით ის აღნიშნავს, რომ იგი ჩაქეულია, უნდა ყოფილიყო ორქანობიანი და ფიქალის ქვით დახურული.<sup>3</sup> სახურავი რომ ორქანობიანი იყო, ამას ნაგებობის ფრონტონებიც ამტკიცებენ. მაგრამ ნაგებობა მისი ფიქალით გადახურვა. ეს. მილერს ხაზგასმული აქვს ის გარემოება, რომ როგორც შენობის შიგნით, ისე გარეთ ეყარა კრამიტის ნამტვრევები. მსგავსი შეუსაბამობანი ე. კრუბნოვის ნაშრომში საკმაოდაა წარმოდგენილი. ა. გენკოს ნაშრომზე დაყრდნობით ის ექვეყვეშ აყენებს ეს. მილერისა და დ. ბაქრაძისეულ დათარიღებას. ყოველგვარი ანალიზისა და მავალითების დაუსახელებლად მკვლევარი „ტუბა-ერდს“ სვანეთისა და აფხაზეთის ეკლესიებს ადარებს, რომლებიც თურმე *суммарно датируются XII—XIII вв...* აქვე იყენებს ძეგლის შტედერისა და ენგელპარდტისეულ ხალხურ პერიოდიზაციას (თამარის დრო) და კატეგორიულად ასკვნის, რომ „გი XII ს. აგებული. შემდეგ ნაშრომში ე. კრუბნოვი აღნიშნავს, რომ ტუბა-ერდი აგებულია არა უადრეს XII-XIII სს.“

რესტავრაციის მერმინდელი ძეგლი აღწერილი აქვს მ. მუჟუხოვეს. მკვლევარი ეს. მილერის ნაშრომზე დაყრდნობით დღემდე შოღწეულ ნაგებობას XI ს. პირველი მეოთხედით ათარიღებს,<sup>4</sup> თუმცა მას ვერ შეუშინვეია ის გარემოება, რომ ძეგლი დაფუძნებულია ადრე არსებული ეკლესიის საძირკველზე, რომლის ელემენტები ფართოდაა ჩართული XI ს დაშენებული სამეკლესიანი ბაზილიკის კედლებში.

ტუბა-ერდის მეცნიერულ კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1941 წ. მოწყობილმა ექსპედიციამ გ. ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით. იმავე წელს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების X სესიაზე გ. ჩუბინაშვილმა წაკითხა მოხსენება „К вопросу о культурных связях Грузии и Ингушети“, რომელშიც მოცემულია ძეგლის ზუსტი მეცნიერული ანალიზი. მკვლევარის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი მოგვიანებით სავსებით დადასტურდა.

1969 წ. დაიწყო ძეგლის გაწმენდა დაწალექი მიწისაგან. 1970-72 წლებში ჩატარდა სარესტავრაციო სამუშაოები, აღდგა ჩამონგრეული კედლები და ნაგებობა გადაიხურა. სამწუხაროდ, სულ რაღაც ხუთიოდე წელიწადში სახურავი ჩაიქვა და ძეგლი კვლავ სავალალო მდგომარეობაშია. ნაგებობის ერთ კუთხეში უპატრონოდაა მიყრილი IX საუკუნით დათარიღებული ანგელოზის გამოსახულებიანი კუთხის ქვა და სხვა უნიკალური დეტალები. ყველა გამწვანებული ვალდებულად თვლის თავს წალმავეულმა ატრიალოს ისინი, რაც აზიანებს ჩვენი ისტორიის ისედაც მრავალპირნახელ რელიქვიებს. საჭიროა გადაუდებელი და ქმედითი ღონისძიებანი მათ გადასარჩენად.

ტუბა-ერდი თარგიმის ქვაბულის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს, ნა-



ტყობა - ერთი ვენგეაში.

**Тюба-арди. Генплан.**

სოფლარ ხაირახიდან 200-300 მ დაცილებით. ძეგლ. ჩრდილო-აღმოსავლეთითაა ორიენტირებული (გამარტივების მიზნით პირობითად საერთოდ მიღებულ ორიენტაციას ვიხმართ). ყაშირის დონეზე შეიმჩნევა გეგმაში წაგრძელებული (39,5X25,7 მმ) ოთხკუთხა მოხაზულობის საძირკვლის კვალი, როგორც ჩანს, მთელი ტერიტორია გალავნის კედლებით იყო შემოზღუდული, რომლის სამხრეთი ნაწილი უკავია სამეკლესიან ბაზილიკას მინაშენებით (ეკვდერი, დამხმარე ნაგებობანი).

ცენტრალური ეკლესია გეგმაში სწორკუთხედის (16,6X7,8 მმ) მოხაზულობისაა. აღმოსავლეთის კედლის გარეთა კუთხეები მთელ სიმაღლეზე კარგად გათლილი შირიმის სწორკუთხოვანი ფორმის კვადრებითაა აყვანილი. ამავე კედლის წყობაში ძირითადად ღია ფერის ქვიშაქვის კვადრატული და წაგრძელებული დიდი ზომის ქვებია გამოყენებული. სამხრეთის კედლის სიგრძის დაახლოებით 3 მ მონაკვეთი, რომელიც აღმოსავლეთის კედელს ესაზღვრება, სტრუქტურული თვალსაზრისით აღწერილის ანალოგიურია, ხოლო დარჩენილ ნაწილში ქარბოზს შედარებით მცირე ზომის უწესრიგო ფორმის ქვიშაქვის ბლოკები. ფიქალი ნაკლებადაა გამოყენებული. ჩრდილოეთის კედლის აღმოსავლეთის ნაწილი დაახლოებით 2 მ-მდე აღმოსავლეთის კედლის იდენტურია, დარჩენილ ნაწილში ქარბოზს ფიქალი, დასავლეთის კედლის წყობაში ძირითადად ფიქალია ნახმარი. შირიმის გამოთლილი კვადრები კუთხეებში მცირე რაოდენობითაა გამოყენებული.

შირიმის ქვის სხვადასხვა ზომების ბლოკებზე ამოკვეთილი ადამიანებისა და ცხოველების მრავალრიცხოვანი რელიეფური სკულპტურები თუ სკულპ-



ტურული კომპოზიციები არაჰანაბრადაა განაწილებული ნაკლებობს თანასაყ  
კედელზე. როგორც საფასადე მხარეს, ისე ინტერიერში.

ცენტრალური ეკლესიის შიდა სივრცე, გრძივი კედლებიდან მხარეებამდე  
მოწეული ქვითკარის მძლავრი ბურჯების სამი რიგია, ოთხ ნაწილადაა დაყო-  
ფილი. ბურჯებზე შენობის კამარების საბჯენი შეისრული თაღებია გადაყვანი-  
ლი.

კედლებში დიდი რაოდენობის ნიშებია მთელ სიმაღლეზე. მათგან ჩრდი-  
ლოეთის კედელში მოწყობილი განსაკუთრებული ზომით გამოირჩევა.  
იგი სამალავად გამოიყენებოდა.

შედარებით ვიწრო, შეღრმავებული, გეგმაში ნალისებური მოხაზულო-  
ბის აფსიდა დარბაზის იატაკს ორი საფეხურითაა დაცლილებული. სატრიუმფო  
თაღი ნახევარწრიული ფორმისაა, ხოლო კონქი დამრეცი მრუდითაა წარმოდ-  
გენილი. დარბაზი ორქანობიანი სახურავით იყო გადახურული. სახურავ მა-  
სალად ვს. მილერის მიხედვით კრამიტი ყოფილა გამოყენებული.

დარბაზის მთავარი შესასვლელი დასავლეთის კედელშია გაკეთებული.  
იგი გლუვწირთხლიანია და ოდნავ წარზიდული თაღითაა დასრულებული. ერთ-  
თი კარია დატოვებული სამხრეთის კედელში. კარის წირთხლებს გარეთკენ  
ნაოთხალები აჰყვება. წირთხლებში საურდულე ზერელებია მოწყობილია. კა-  
რის თავი ლილვებითა და კანელურებით შემკული თაღის ქვითაა გადახურუ-  
ლი. ჩრდილოეთის კედელში არსებული კარი ამოჭოლილია.

სამხრეთის კედელში 5,6 მ სიმაღლეზე ოთხი სარკმელია, რომელთაც  
საფასადე მხარეს შეისრული თაღების ფორმა გააჩნიათ. აღმოსავლეთის კედ-  
ლის ცენტრში შეწყვილებული სარკმელია გაკეთებული. სარკმლის გამყოფი  
სვეტის კაპიტელზე მცენარეული დეკორი შეიმჩნევა. წირთხლებს თითო ცრუ  
სვეტი ასდევს, რომელთა კაპიტელები ლილვებს შორის მოქცეული ბურთუ-  
ლებითაა გაფორმებული. სარკმლის ლიობებს ნახევარწრეებით დანაწევრე-  
ბული არქივოლტი აგვირგვინებს. არქივოლტსა და თავსართს შორის მოქ-  
ცეულ სიბრტყეზე ამოკვეთილია ორი სიუჟეტისაგან შემდგარი სკულპტურუ-  
ლი კომპოზიცია. მარჯვენა გამოსახავს მამაკაცის ბრძოლას ლომთან. მარცხე-  
ნაზე სამი ფიგურაა, რომელთაგან ერთ-ერთა, ალბათ ქტიტორი, ეკლე-  
სიის მოდელს მიათმევს ქრისტეს.

დასავლეთის ფასადის ცენტრალურ ნაწილში ორნამენტირებულ კრონშტე-  
ინებზე დაყრდნობილ დიდ თაღში მრავალფიგურიანი სკულპტურული კომპო-  
ზიციაა განლაგებული. არქივოლტის ქვედა მხარე ნალისებური, ზედა კი შეის-  
რული ფორმისაა. კრონშტეინებთან ერთად კედლიდან გადმოცილებულია ლი-  
ლვისა და თაოსიგან შედგენილი არქივოლტი. ტიშპანის ქვების ნაწილი და-  
კარგულია. კომპოზიციის ცენტრში ჯვრის მოხაზულობის ქვის ბლოკზე ამო-  
კვეთილია ტახტზე მჯდომი ქრისტეს ფიგურა. მის თავს ზემოთ ძალზე გამო-  
წეული მცენარეული ორნამენტით შემკული სარკმელია, რომელზეც ენკელ-  
პარდტის მიხედვით, გუმბათიანი ტაძრის მოდელი მდგარა. ქრისტესეც მარცხნე  
ფეხზე მდგომი ადამიანის გამოსახულებაა, რომელსაც მარჯვენა ხელი ხმლის  
ვადზე უდევს. მარცხენაში კი ჯვარი უჭირავს. ქრისტესგან მარჯვნივ კედელ  
ერთი ადამიანის ფიგურა ყოფილა გამოსახული, რომლის ქვედა ნაწილია დარ-  
ჩენილი. კომპოზიციის ზედა ნაწილში, იდაყვში ოდნავ მოხრილი ხელია, რომ-



მელსაც გონიო უჯავია. აღწერილ კომპოზიციაში სხვადასხვა პერიოდში შე-  
 მახვევითაა მოხვედრილი ორნამენტობებული დეტალები. ადრე აქვე ყოფილიყო  
 ჩამტული წარწერებიანი ორი ფილა.

ამვე კედელზე, არქივოლტის თავზე და გვერდებზე, მისგან ოდნავ  
 დაცილებით სამი ანგელოზის რელიეფური გამოსახულება ყოფილა მოთავსე-  
 ბული.

მთავარ დარბაზს ჩრდილოეთიდან მთელ სივრცეზე ეკვრის კორიდორი მცა-  
 რე ეკლესიით, რომლის ჩრდილოეთის კედელშია გაკეთებული სწორკუთხა  
 მოხაზულობის გლუვწირთხლებიანი კარი. მცირე ეკლესიის შემალეებული  
 აფსიდა ნახევარწრიული მოხაზულობისაა. აფსიდის სარკმელი გარეოკენ ვი-  
 წროვდება და წირთხლებს ნაოთხალები აყვება.

ცენტრალურ დარბაზს სამხრეთიდან ეკვრის სვეტებიანი კორიდორი და  
 მცირე მცირე ეკლესია, რომლის ღრმა, ნაღისებური მოხაზულობის აფსიდა  
 მთავარი ეკლესიის აღმოსავლეთის კედლის სიბრტყიდან 2,0 მ-ითაა გაწეული.  
 მცირე ეკლესიის იატაკის ფიქალის ფენილის ქვეშ სავლება, რომლის ჩასას-  
 ველი ჩახერგილია.


სამეკლესიანი ბაზილიკის დასავლეთის კედლისგან 2,2 მ დაცილებით კე-  
 დლის ნაშთია, რომელშიც გლუვწირთხლებიანი სამი შესასვლელი ყოფილა  
 დატოვებული. მათგან ცენტრალურის საფასადე გვერდებზე შეწყვილებული  
 ცრუ სვეტებია, რომელთა ქვედა ნაწილში ბურთულებია ამოკვეთილი. კაპი-  
 ტელი კი ორა ლილეითა და თაროთაა წარმოდგენილი. ეს მიღერის მიხე-  
 დეთ როგორც აღნიშნული, ისე მისგან მარცხნივ მოქცეული კარი თაღით  
 ყოფილა დასარულებული.

სამეკლესიან ბაზილიკას სამხრეთ-აღმოსავლეთით ეკვრის ძალზე დაზიან-  
 ნებული ეკედერი (6 მ X 3,8 მ). მისი აფსიდა გეგმაში ღრმად შეწეული, მკვეთრად  
 გამოხატული ნაღისებური მოხაზულობისაა. აფსიდის კედელში ორი დიდი  
 ზომის ნიშია. თითო ნიშია ეკედერის ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებ-  
 ში. დასავლეთის კედელში გლუვწირთხლიანი კარია გაკეთებული.

როგორც აღინიშნა, გათხრების დროს გამოვლინდა ადრე არსებული ბა-  
 ზილიკის საკურთხეველის საძირკველის ნაშთები: მშენებლობის ამ პერიოდიდან  
 დარჩენილი არქიტექტურული ელემენტები ჩართულია შემდგომ ეტაპზე აგე-  
 ბული ნაგებობის კედლებში სხვადასხვა დანიშნულებით. სწორედ ძველ ბა-  
 ზილიკას უნდა მიეკუთვნებოდეს წარწერებიანი ფილა, რომლითაც დ. ბაქრა-  
 ტე ძეგლს IX ს-ით ათარიღებს. XI-XII სს მიჯნაზე (ზ. მუყუბოევი — XI ს.  
 პირველ მეოთხედში) ადრე არსებული ძეგლის ადგილზე სამეკლესიანი ბაზი-  
 ლიკა იგება, რომელიც შემორჩენილი ელემენტებით ქართული ბურთომომოდე-  
 რებისათვის დამახასიათებელი ხერხებით ზორციელდებოდა. მოგვიანებით  
 XVI-XVII სს შიჯნაზე სამხრეთის, ჩრდილოეთისა და დასავლეთის ჩამოქცეუ-  
 ლი კედლები ხელახლა აყვანილი და ძველი ელემენტები უკვე შემთხვევითაა  
 გამოყენებული, ამასთან შეიმჩნევა ქართული არქიტექტურული კანონების  
 დარღვევა როგორც კონსტრუქციულ სისტემაში (ბურჯები, სამხრეთის კედ-  
 ლის სარკმლების აგებულება...) ისე ახლად აგებული ფასადების გადაწყვეტა-  
 ში.

თარგმისავე ქვაბულში, მდ. ასას მარცხენა ნაპირას, მცირე ზომის ტა-





ტუობა - ერდი. გეგმა.

Ткуба-эрдн. План.

ტუობა - ერდი. გრძივი კრძლი.

Ткуба-эрдн. Продольный разрез







ტუბა - ერთი დასავლეთის კედლის  
ბარელიეფი.

Туба-эрдн. Барельеф западной  
стены.


ალბი - ერთი კვანძი.

Алби-эрдн. План.





აღბი - ერდი. კრაღები  
Алби-эрдн. Разрез:



ფობში მდებარეობს შედარებით ნაცლებად შესწავლილი ეკლესია ალბი-ერდი, რომლისგანაც ჩვენამდე მხოლოდ დაზიანებულ კედლებს მოუღწევია. ძეგლის ქვედა ნაწილი ქვას და ღორღს დაუფარია. მისი მეცნიერული შესწავლისათვის აუცილებელია არქეოლოგიური გათხრა.

ალბი-ერდი გეგმაში წაგრძელებული (8,75 X 5,3 მ) სწორკუთხა მოხაზულობისაა. ღრმა ნალისებური ფორმის აფსიდა კედლის სიღრმეშია მოქცეული. აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეს შეიმჩნევა მინაშენების ნაშთები, თუმცა გათხრამდე მწვლია მათზე რაიმეს თქმა. საშენად ძირითადად ფიქალია გამოყენებული, შემკრავად — კირის ხსნარი. ინტერიერი შელესილია. სავარაუდოა, რომ შელესილი იყო საფასადე მხარეც.

ღარბაზში შესასვლელი სწორკუთხა, გლუვწირთხლებიანი კარი სამხრეთის კედელშია გაკეთებული. ანალოგიური კარია დასავლეთის კედელშიც; ეს მხარე მიწითაა დაფარული გარედან და კედელში კარის არსებობა იმაზე მიგვაჩვენებს, რომ ამ მხარესაც უნდა ყოფილიყო მინაშენი, ამასთან როგორც ეს, ისე სამხრეთისა და ჩრდილოეთის მინაშენები ღარბაზის თანადროულია.

სამხრეთის კედელში 4 მ სიმაღლეზე სამი ვიწრო, მაღალი სარკმელია გაკეთებული. მათგან მთელ სიმაღლეზეა შემორჩენილი შუა, რომლის ზედა მხარე ნალისებური თაღითაა დასრულებული. სარკმლის კვალი შეინიშნება დასავლეთის კედელშიც.

სამხრეთის კედლის საფასადე მხარეს ორი მასიური პილასტრია ამოყვანილი, რომელთა ზედა ნაწილებში თაღებად გადასაყვანი ქუსლები ქართული გამომწვარი ავურითაა შესრულებული. როგორც ჩანს, ამ მხარეს არსებული მცირე სამლოცველოს ცილინდრული კამარა აღნიშნულ და მათ საპირისპიროდ მდებარე პილასტრებზე აყვანილ თაღებს ეყრდნობოდა.



ალბი-ერდის კედლებზე შემორჩენილია შელესილობა მხატვრობის მკრთალი კვალით, განსაკუთრებით დასავლეთის, ჩრდილოეთის კედლებზე და აფსიდაში. ჭერ კიდევ შეიძლება რამდენიმე შარავანდის მოხაზულობის კადრებით გამოფიქრებული და ფიგურების დეტალების გარჩევა. დამახასიათებელია აგრეთვე მხატვრობის საერთო ლურჯი-მოყავისფრო შეფერილობა, რაც მას შუა საუკუნეების რიგში აყენებს. კადრის გამოფიქრებული, მოყავისფრო ზოლები მეტყველებს მასზედ, რომ მხატვრობა კარგად იყო მორგებული შენობისათვის, რაც გამოცდილი მხატვრის ხელს ავლენს.

სოფ. თარგიმის ეკლესია მდ. ასას მარჯვენა ნაპირას, სოფლიდან დაახლოებით 4 კმ-ს დაცილებითაა აგებული ქვაბულა უკიდურეს ჩრდილოეთის საზღვართან. ძველი შედარებით მცირე ზომისაა (8,70X4,65 მ), თუმცა მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობით ხასიათდება. აქ ეკლესიის ქვეშ დაახლოებით 2 მ-ს სიმაღლის საძირკეა მოწყობილი, რომელშიც შედიოდნენ დასავლეთის კედელში გაკეთებული სწორკუთხედიანი შესასვლელი (6,5X6,5 სმ). იგი ფიქალის მომრგვალებული ფილით იხურებოდა. საძვლის მასიური კედლები დარბაზის კედლების საძირკველს წარმოადგენდა. კედლის წყობაში ფიქალი და ნაკლებად დამუშავებული რიყის ქვებია გამოყენებული, შემკრავად კი კირის ქსნარი. კედლები შელესილია, შესაძლოა მოხატულიც იყოს.

დარბაზის გრძივი კედლების ცენტრებთან თითო პილასტრია, რომლებზეც შენობის ცილინდრული კამარის საბჯენი თაღი უნდა ყოფილიყო გადაყვანილი.

გლუვწირობებისა, რკალურად დასრულებული კარი სამხრეთის კედელშია გაკეთებული. აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებში თითო სარკმელია გაჭრილი. აფსიდაში ოთხკუთხა განივკვეთის ტრაპეზის ნაშთები შეიმჩნევა.

აღწერილი ნაგებობანი აშკარად მოწმობენ ქართულ-ვეინახურ კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობაზე და მთიელთა ქრისტიანიზაციის პროცესზე, რომელიც მთლად უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობდა. საქართველოს პოლიტიკურ მესვეურთა კრედიო ნათლადაა გადმოცემული ტყობა-ერდის დასავლეთის ფასადის რელიეფზე, სადაც ქრისტესაგან მარცხნივ ექსპრესიულად გამოხატულ ფიგურას ცალ ხელში ჭვარი უჭირავს, მეორეში — მახვილი. რელიეფი, შეიძლება ითქვას საპროგრამო გამოსახულებაა, რომელიც ზედმიწევნით ზუსტად ასახავს არსებულ პოლიტიკურ ვითარებას, როდესაც ცენტრალური ხელისუფლება მთიელთა საკუთარი პოლიტიკის ორბიტაში მიზიდვის მიზნით იყენებს ქრისტიანობას.<sup>1</sup> ცხადია, ძალდატანება ამ საქმეში რწმენის დანერგვის ფეხდაფეხ მიიბიჯებდა, თუმცა ამის მიუხედავად, როგორც იდეოლოგიური რიგის ფაქტორმა, ქრისტიანიზაციამ, როგორც ყველგან, ვეინახებზეც გარკვეული გავლენა იქონია.

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, თბ., 1942, 19, 27, 143; ქართლის ცხოვრება, 11, თბ., 1959, 183; Меликшвили Г. И. К истории древней Грузии». Тб., 1959 და სხვა.  
<sup>2</sup> МАК, вып., I, М., 1888.  
<sup>3, 4</sup> Крупнов Е. И. Грузинский храм «Тхаба-Ерди» на Северном Кавказе, КСИИМК им. Н. Я. Марра, вып. XV, 1947, 116, 120; 127 და სხვა.  
<sup>5</sup> Мукухоев М. Б. Средневековая материальная культура горной Ингушетии (XIII—XVII вв.). Грозный, 1977, 116—117.  
<sup>6</sup> ა. ჭალდანი, ლ. ხუციშვილი, გ. ხუციშვილი. ალბი-ერდი — ქრისტიანული ეკლესია ინგუშეთში, საბჭოთა ხელოვნება, 7, თბ., 1983, 108.



## საპუბლიკო დამავლობება

საპუბრელის ძირითადი დანიშნულება ცნობ-ლია, ვინაიდან ჩვენი წინამდ-ვებარე წერლი კრებულ „ძეგლის მეგობარში“ იბეკდება, ამიტომ, აქ, ჩვენ, როგორც ძეგლის, სხვა დანიშნულებაზე გვექნება საუბარი. საპუბრელი გამო-იყენებოდა საჩუქრად დამეგობრების დროს. დამშობილებისას ძმადგაფი-ეულები ერთმანეთს საპუბრელს გაუცვლიდნენ ხოლმე. საპუბრელის გამოყენე-ბას საჩუქრად, უმეტესად, საპუბრელზე შესრულებული წარწერები ადასტუ-რებს. ერეკლე II თავის სიძისათვის — კაცია II დადიანისათვის, ასპინძის ომის შემდეგ, ხმალი უბოძებია, რომელსაც აქვს შემდეგი წარწერა „ერეკლემ დადიან(ს) უძლენი 1770 წ. 1 მა (ის)“ (სურ. 1). ხმალი ამჟამად ავად. გ. ჩუ-ბინაშვილის სახელობის ქ. თელავის მუზეუმშია გამოფენილი, რომელიც მათ გადასცეს მახარაძელმა მშრომელებმა 1983 წ. რუსეთ-საქართველოს მე-ვობრობის ტრაქტატის 200 წლისთავთან დაკავშირებით.

ავად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფი-ის განყოფილებაში გამოფენილია ორწარწერიანი ხმალი № 36-35, მათგან ჩვენი თემისათვის უფრო საინტერესოა შემდეგი წარწერა: „საყვარელ მ (ბ) იტია ჩრდილელს 1 ბატარიის ოფიცრებისაგან 10.X. 1920 მუხროვანი“ (სურ. 2), ხოლო ყახზევის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაუნჩებულია სატე-ვარი შემდეგი წარწერით: „სახსოვრად წითელკავალერს ალექსანდრე ალექ-სანდრეს ძე გეგეჭკორს, თბილისის აღმასკომისაგან 1923 წ.“. (სურ. 3).

ჯაჭვის პერანგიც ასევე საჩუქრად გამოიყენებოდა. რუსეთის მეფე თედო-რე ივანეს — ძეს იმერეთის თავად ალექსანდრესათვის, 400 წლის წინ 1587 — 88 წწ. გაუგზავნია ჯაჭვის პერანგი 30 მ. (სურ. 4), ჯაჭვანი 20 მ. და სხვ. ჯაჭ-ვის პერანგის გადაცემით ტყვეობიდან თავს იხსნიდნენ. მაგალითად, ბაგ-რატ V თემურლენგისათვის საჩუქრად გადაუცია უცნობი ჯაჭვი, რომელიც გადმოცემით თვით დავით ებრაელთა მეფისა და წინასწარმეტყველის სახელოს-ნოში ყოფილა დამზადებული. თემურლენგს ჯაჭვი ისე მოსწონებია, რომ თავის მხრივ უხვად დაუსაჩუქრებია ბაგრატ V და ისევე საქართველოში დაუბ-რუნებია.

• თოფი № 12—25, რომელზედაც შემდეგი წარწერაა: „თოფო ყი-რიმო მეფისა ბაქარისაო“ გამოყენებული ყოფილა საჩუქრად, რასაც ადას-ტურებს თოფზე არსებული შემდეგი წარწერა „თოფი იხილე მირთმევა მეფის კონსტანტინესად“ (სურ. 5). ჭართლისა და კახეთის მეფეებს შორის 1723 წ. დიდი შუღლი ჩამოვარდნილა. ძმათა შორის უგუნურ ბრძოლას დამპყრობელი ოსმალეთი მოჰყოლია. ამ მდგომარეობამ გუშინდელი ბტრები შეაროგა. ვახუშ-ტი ბაგრატიონის გადმოცემით — „პატიმარ-ყოფილი მამად-ყოლი-ხანი ვი-თარცა მონა თბილისში ოსმალთა პატიმრობაში მყოფი კახთა მეფე კონსტან-ტონე მეფე ბაქარმა საპატიმროდან გააპარა, რის შემდეგ ბაქარი და კონს-ტანტინე ერთმანეთს მცხეთაში შეხვდნენ და „პყვეს პირობა ერთობა სიყვ-არულია“. დასახელებული თოფის გადაცემა ამ დროს უნდა მომხდარიყო,




ქართული  
ენების ინსტიტუტი



ქვემოთადაც  
დაწვრილი  
1770

სურ. 1.

Фото 1.




სურ. 2.

Фото 2.

სურ. 3.

Фото 3.





სურ. 4.

Photo 4.

სურ. 5.

Photo 5.

რაც ქართლ-კახეთის მეფეთა დაგვიანებული „ერთობა-სიყვარულის“ საწინ-  
დარს წარმოადგენს. თოფის მესამე წარწერა „ჩყნა (1851) წელს დღეიდან თა  
ნიკოლოზ ბაგრატიონი მუხრანსკის ვარ“ (სურ. 5) მთელი 127 წლითაა და-  
პირებული ადრინდელ წარწერებს. დასახელებული თოფი ამჟამად გამოფე-  
ნილია საქართველოს მუზეუმში ფოცალურა ხანის გამოფენაზე.

თოფთან ერთად დამზაჩაე რომ გამოიყენებოდა საჩუქრად ჩანს ზაქარია  
ორბელიანისადმი ნ. ბარათაშვილის მიერ მიწერ-ლ წერალოთ: „მადლობელა  
ვარ თოფისათვის, ის ღირს იწოდებოდეს სამურის ოლქის უფროსის ნაჩუქ-  
რად“, ხოლო მეორე წერილში ნიკოლოზი თავის დეიდაშვილის სთხოვს — „შენ  
გამოგზავნილ თოფს თავ-სა შესაფერა ერთი წყვილი დამზაჩაე უნდა, თვარამ  
ობოლსავით დარჩენილია და ამისათვის კაბინეტში ვერ გაპიზართავს-ო“.

1 ნ. ბარათაშვილის წერილები ზაქარია ორბელიანისადმი 1844 წ. ლექსები ბედა ქართ-  
ლისა, წერილები, ტფილისი, 1922, გვ. 109.

2 იქვე, გვ. 116.



**სუფრის ურძენი და ურძენის წვენი კროღუკობი  
დასავლეთ საქართველოში**

დასავლეთ საქართველოში ურძენის მისაღლის დიდი ნაწილი ღვინის დამზადებას ხმარდებოდა, მის გარკვეულ რაოდენობას კი ნაირგვარი პროდუქტის მისაღებად იყენებდნენ. ურძენს და ურძენის წვენისაგან დამზადებულ პროდუქტებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკირა ადგილობრივი მოსახლეობის კვების რაციონში, განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობდნენ ისინი მოზარდთა კვებაში.

ძველად, მოუსავლიან წლებში, როდესაც სურსათის დიდ ნაკლებობას განიცდიდნენ, ურძენი ცვლიდა სხვა პროდუქტს.

დასავლეთ საქართველოში საღვინე ჯიშები რაოდენობით დიდად ჭარბობდნენ სუფრის ჯიშებს. საუკეთესო საღვინე ჯიშების გარკვეული ნაწილი უბირატესად ღვინის დასამზადებლად გამოიყენებოდა, საჭმელად მათ ნაკლებად ხმარდებდნენ. ზოგიერთი მაღლარი ურძენი, რომლის დაკრეფას ზოგან ვერც კი აუდიოდნენ, ყოველგვარი მომჭირნეობის გარეშე მოხმარებოდა საჭმელად, მაღლარი ჯიშებიდან კარგ საჭმელ ურძენად თეთრ ადესას მიიჩნევენ.

საჭმელად უმთავრესად გამოიყენებოდა სუფრის ჯიშები. საქართველოში არაერთი მაღალხარისხოვანი სუფრის ჯიშია გამოყვანილი. დასავლეთ საქართველოში საჭმელ ურძენად ითვლებოდა: თეთრი კაპური (გურია, იმერეთი), ვერულაშვილის ურძენი, მელისკუდი (იმერეთი), კლარჯული (გურია), ჩერგვალი (სამეგრელო) და სხვ. საჭმელად ხმარდებდნენ აგრეთვე ზოგიერთ საღვინე ჯიშს, რომელიც მთხრობელთა შეხედულებით კარგი სუფრის ურძენის თვისებებით ხასიათდება (მაგ. იმერეთში — კრახუნას, ქეიშხურა, ალადასტურს, გურიაში — ჯანს, სამეგრელოში — ჰანეშს). „საქართველოს ამბლოგრაფიაში“ ვკითხულობთ: „ქართველ მეურნეს ძირითადად საღვინე ჯიშში გამოკყავდა, მაგრამ ისეთი, რომლის გამოყენება სხვა მიზნებისათვისაც შეიძლებოდა, ანუ უფრო სწორად, გამოკყავდა კომპლექსური ჯიშში, რომელშიც შეერთებული იქნებოდა ყველა მისთვის საჭირო თვისება.“

კარგ საჭმელ ურძენს, მთხრობელთა შეხედულებით, პირველყოვლისა უნდა ახასიათებდეს სასიამოვნო გემო, კარგი გარეგნული იერი და გამძლეობა. რამდენადმე განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებდნენ სააკიდოე ურძენს და სათვალო ურძენს. აკიდოდ აჭრილ ურძენს გარდა იმისა, რომ საღვინე შენახვის უნარი უნდა ახასიათებდეს, ჭკნობა ზედმეტად არ უნდა მოერიოს — ზომიერად უნდა შეჭკნეს. სააკიდოე ურძენად ითვლებოდა აკიდო გამეხაურა (იმერული ჯიშის).

სათვალო ურძენი, როგორც აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი, ყოველთვის საჭმელ ურძენს კი არ გულისხმობს, არამედ უმთავრესად ისეთ ჯიშებს, რომლებიც გარეგნულად, შესახედავად, თვალისათვის სასიამოვნოა. მაგ. იმერეთში მანათიანის სახელწოდებით ცნობილი უცხოური ჯიშის, მთხრობელთა შეხედულებით, არც განსაკუთრებული გემოთი გამოირჩევა, არც შენახვის უნარით, სამაგიეროდ კარგი შესახედავია — აქვს მოზრდილი შტევენი და ძალიან დიდი მარცკლები და სათვალო, ანუ საგობე ურძენად ითვლებოდა.



**ყურძნის შენახვა.** საქმელ ყურძენს რამდენიმე თვის განმავლობაში (თუ რომ ხშირად ახალ წლამდე, ზოგჯერ უფრო ხანგრძლივად) დოითაც — ვახუშტულამდე, ალდომის დღესასწაულამდე) ინახავდნენ. შესანახად მშრალი ყურძენი გამოდგება. ჩვეულებრივ, არჩევდნენ საღ, მსუბუქი, მწიკლიანი ყურძენს (მაგრამ შედარებით თხელ მტევნებს), რომელიც „არც მკავედა, მაგრამ არც მთლად ძალა დამართნია“ ე. ი. გადამწიფებული არ არის.

შესანახი ყურძნის ნაწილი რთულამდე ორი-სამი დღით ადრე აციდობად და ჩხებად იჭრებოდა. აცილო (ჩხა) ვახზე აჭრილი გრძელი რქაა, რომელზედაც ორი (აციდოზე), ან რამდენიმე (ჩხაზე) მტევანია გამოხმული. აცილოდ, ჩვეულებრივ, იჭრებოდა საყურძნე რქა, (მოსაბოვი ანუ ჩამოსახოვი ლერწი). ვრიდებიან მის აჭრას სამამულე რქაზე, რომელსაც ვახზე მომავალი წლისათვის სანაყოფე რქის მოსაღებად ტოვებენ. „სამამულე ლერწი — სასხლავი არ წაგვიხდინოთო“, — ეტყოდნენ ხოლმე მევენახე მამაკაცები რთვლის დაწყების წინ აციდობის ამტკრელებს.

შენახვისას რამდენიმე აცილოს გადააჯვარდინებდნენ და წნელით დაამაგრებდნენ. მტევნებს იოლად მოსადრეკი წნელით ჭაგნებად ასხამდნენ. იმერეთში ჭაგნის, ანუ ხორხალის გასაყეთებლად იყენებდნენ უჯანგარს. ზემო იმერეთში მიღებული იყო აგრეთვე მტევნებს „ბერძნული ეკლის“ გრძელ ტოტზე ასხმა.

მცირე ხნით შესანახი ყურძენი ძველად „ჩაყეტოში“ (ხანდუცი, სივრი) ჰქონდათ, ხანგრძლივი დროით შესანახს კი ბელელში ან სახლის სხვესზე ათავსებდნენ. ყურძენს ჭერ ცოტას შეაქნობდნენ (ჩაფარაზე — მრგვლად მოწნულ ლასტზე მოალაგებდნენ) და შემდეგ ბელელში გადატანდნენ.

ყურძნის წვენიდან დასავლეთ საქართველოში ამზადებდნენ ნაირგვარ ყუათიან და გემრიელ ტბილელულს: ფელამუშს, ჩურჩხელას, ტბილისკვერს, ბადაგს, ლეჩერს და სხვ.

**ფელამუში.** ფელამუშს ზოგი „შუა წვენიდან“ ამზადებს. ზოგი კი ნაწბელავს აძლევს უპირატესობას. საფელამუშე ტბილს საცერში ჩაწურავენ, შემდეგ შეათბობენ და ე. წ. „საფენელს“ მისცემენ ე. ი. სამტკიცეში გაციროლ მჭადის ფქვილს მოუკიდებენ, ხელით და ჩოგნით კარგად გაჭნიან (რომ „კურკუშაღა“ არ დარჩეს) და მოადუღებენ. დუღილის დროს ჩოგნით ურევენ და ქაფქირით ქაფს აცილიან. იმერეთში სამწირო ფელამუში მზადდება: საქმელი, საჭანჯუხე და ტბილისკვერისა („სატბილიკვერებო“, „დასატბილიკვერებელი“). საქმელი ფელამუში სქელია (დანით იჭრება), ტბილისკვერისა — თხელი, საჭანჯუხე კი საშუალო სისქისაა. საქმელი ფელამუშისაგან განსხვავებით ტბილისკვერისა და საჭანჯუხე ფელამუშს ან პურის ფქვილისაგან ამზადებენ, ან მჭადის ფქვილში პურის ფქვილს ურევენ.

ძველად იმერეთში ზოგიერთ ოჯახში ფელამუში დიდი რაოდენობით მზადდებოდა; მას არყის ქვაბებში ადუღებდნენ; გასაცივებლად „გობებზე დაუშვებდნენ“, ფორმის მისაცემად სხვადასხვა კურტელში გადაქმნდათ. დიდ მანძილზე წასაღებ „გასაგზავნ“ ფელამუშს გურიაში ხის კურტელში — კოთში აცივებდნენ და კოთხოთივე მიჰქონდათ.

**ტბილისკვერი/ტბილი კვერი.** სამეგრელოში ძველად ტბილისკვერის დასამზადებლად ძველებურ სუფრას — ტაბაკს იყენებდნენ. იმერეთში ტბი-



ლისკვერის ფელამუშს ფიცარზე ან მაგიდაზე ასხამდნენ, რომელზედაც თეთრი უხმარი ქსოვილის (ტილო ან მიტყალი) ნაჭერი იყო გადაფარებული; ხელფეხებს კი გააბრტყელებდნენ, რომ გაშრებოდა და ნაღობით შემოყვებოდნენ, პირს აუჩენდნენ და შემდეგ ძაფით ააძრობდნენ.

**ჩურჩხელა.** ხეში იმერეთში ჩურჩხელას უწოდებენ გოზინაყს, დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებში — ჯანჯუხას. ჯანჯუხას „პირველი წვენი“ ესაქიროება, რომელიც ღია ფერით ხასიათდება. დასავლეთ საქართველოში ხშირად მზადდება თხილის, ნიგვზის, აგრეთვე ნაირგვარი ჩირის (ვაშლის, მსხლის ლელვის), ჩაშიჩის, „დაჩილული კეახის“ და კეახის მარცვლების ჯანჯუხა. თხილის გულებს ცხელ წყალში დაალობენ და ბამბის ძაფზე ასხამენ ისე, რომ ძაფზე შუაში ცარიელი ადგილი ე. წ. „უღელი“ დარჩეს, შემდეგ ორივე ბოლოს საგანგებოდ დამზადებულ ფელამუშში ამოავლებენ და უღლით ქოჯზე ან თოჯზე გადაკიდებენ გასაშრობად.

სპეციალისტებმა კარგა ხანია ყურადღება მიაქციეს ჩურჩხელის განსაკუთრებულ ღირსებებს: მაღალკალორიულობას, შენახვის უნარს, ტრანსპორტბელურობას; დადგენილია, რომ იგი შეიცავს ადამიანის კვებისათვის საჭირო ნაირგვარ ნივთიერებებს: ცხიმებს, ნახშირწყლებს, მარილებს, ვიტამინებს და სხვ.<sup>3</sup> არის კიდევ ერთი ღირსება, რომელიც ჩვენი აზრით, დასავლურ-ქართულ ჩურჩხელას და, საერთოდ, აქაურ ნუგბარს ახასიათებს, რის გამოც იგი ამჟამად განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ეს ნუგბარი საკმაოდ „მსუბუქი საქმელია“, თავისი შედგენილობით ახლოსაა შაქრის ზომიერი შემცველობის მქონე ტკბილეულთან. რომლის ხვედრითი წონის გაზრდას წარმოებული ტკბილეულის საერთო პროდუქტიაში სპეციალისტები საშურ საქმედ მიიჩნევენ. საქმე ის არის, რომ რაციონალური კვების ორგანიზაცია, კვების კულტურის მაღალი დონის მიღწევა, რასაც ითვისავენ სსურსათო პროგრამა, სხვა ღონისძიებებთან ერთად შაქრის მოხმარების ბუნებრივ, ადამიანის ორგანიზმისათვის სასარგებლო ჩარჩოებში მოქცევასაც გულისხმობს.<sup>4</sup>

ჯერ კიდევ ამ საუბრის ოციან წლებში რუსი მკვლევარი პ. ვლადიმეროვი-ნიკიტინი აღნიშნავდა, რომ „მივიწყებას ეძლევა ჩურჩხელის დამზადების ძველი რეცეპტები, ყველგან ფეხს იკიდებს ფალსიფიკაცია და ამ პროდუქტის ხარისხი ყოველწლიურად უარესდება“.<sup>5</sup>

ყურძნის წვენისაგან დამზადებული პროდუქტების კვების მრეწველობაში ფართოდ დანერგვა და ამასთან ხალხური ტექნოლოგიის მიღწევების გათვალისწინება ხელს შეუწყობს ამ პროდუქტების პოპულარობის გაზრდას ქალაქის მოსახლეობაში და დადებით როლს შეასრულებს სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში.

<sup>1</sup> ნ. კეცხოველი, მ. რამიშვილი, დ. ტაბიძე, საქართველოს ამპელოგრაფია, თბ., 1960, გვ. 4.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. 11, ტფილისი, 1934, გვ. 493.

<sup>3</sup> П. Виноградов-Никитин; Плодовые и пищевые деревья лесов Закавказья; Труды по прикладной ботанике и селекции, т. XXII, 1929, стр. 82.

<sup>4</sup> ნ. კეცხოველი, კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბ., 1957, გვ. 238.

<sup>5</sup> Ю. Р. Ходош. Культура потребления, М., 1987, стр. 72.

<sup>6</sup> П. Виноградов-Никитин, დსახ. ნაშრ., იქვე.



1965 წელს ზეკარის უღელტეხილსა და ბაღდადის რაიონის სოფელ ხანის საზაფხულო საბჭოებს — ჰეინტის ლელესა და ჰეინტას, ჩემს თანამგზავრებთან ერთად ვესტუმრე. კარავთან მაშინ მივედიო, როდესაც ნახარი ბრუნდებოდა და მესაქონლეები დაკავებულები იყვნენ. ერთი მოხუცი ქოხში შეგვიძლია, ცეცხლის პირას დაგვსვა და ბოდიში მოგვიხადა. მასპინძლების მოლოდინში ვისაუბრეთ მესაქონლე ხალხის ქირ-ვარამზე და მათ შიშვე პირობებზე. მოგვიანებით მასპინძლებიც გამოჩნდნენ, მათ ნაწველსა და დგამ-ქურჭელს თავთავის ადგილი რომ მიუჩინეს, ორმა ხელმარჯვე კაცმა, რომელთაგან ერთი შუახნისა იყო და მეორე ახალგაზრდა ხელი დაიბანეს, მკლავები დაიკაპიწეს და ცეცხლთან მიდგმული რძიან კასრიდან ყველი ამოიყვანეს, სასულეგუნე მოამზადეს და სულუგუნის ფიგურების გამოსახვა დაიწყო. სიხარულით ვუყურებდი ამ პროცესს, რადგან დიდიხნის წინ ჩანახი მომავონა, როდესაც ზაფხულს სოფელ ბახეში ვატარებდი, ხოლო იელისის შუარიცხველიდან შე და ჩემი და „მთიბის“ დროს ბიძაჩემს პლატონ მეგრელიშვილს ამ მშრომელ, კეთილშობილ ადამიანს „საპაერთ“ ბაისურაში მივეყვადით და ფერისცვაობამდე იქ ვრჩებოდით. რა ბედნიერი ბავშვობა გექონდა, როგორი ხალხით მივხვედით უსაშველოდ დატვირთულ ჩალვადრთან ცხენებს, ხან კლდის ნაპარას გადავივლიდით, მოცვით დახუნძლულ ტევებში შევიდოდით, ხან უღრან ტყეში ნაძვარსა და ფიჭვნარში, თოვლით დაფარულ ადგილებზე ფეხშიშველა დავდგებოდით ბარიდან ამოსული, თოვლს დანატრებული და დასიცხული ბავშვები. ზოგჯერ ამ ხიფათიან გზაზე მხოლოდ ცხენების ფლოქვთა თქარათქური ისმოდა. ბარვით ნაკლებტვირთიანი რომელიმე ახლობელი, ძირითადად ჩემი ბიძაშვილი ლეონიდე მეგრელიშვილი შეგვსვამდა ცხენზე; ასე გავივლიდით ვაკიჯვრიდან ორმოციოდე კილომეტრს და საღამოს მწვანე მოლზე აციმციმებულ ცვარს დავინახავდით.

ბაისურის მისადგომები ეს იყო ადგილი ავსალი მშვენიერებით და თვით დასახლება თავის გარემოთი მომხიბლავი. მოშორებით წიწვნარი და ერთ დიდ საკმაოდ გრძელ ბორცვზე ერთმწყრავად ჩარიგებული ერთფეროვანი ღია — უმოაჯირო აივნისანი, ყავრით დახურული სახლები იდგა.

ბაისურა ბანშაროსთან ახლო მდებარეობს. ორივე დასახლებას ბახვის წყალი ჩამოუდის, მათ ერთმანეთისაგან უზარმაზარი, ხშირა ნაძვისა და ფიჭვის ტყე ჰყოფს.

ბაისურის მოგონებამ ბახვის წყლისპირელი დეიდას ქმარი ესე ნიკოლაიშვილი გამახსენა, რომელიც ჯერ კიდევ ძველი პრესტიჟით სარგებლობდა და მთელ გურიაში სახელგანთქმული იყო. მთაში ვახრილი ეს შუახნის კაცი რომ დროისათვის საკმაოდ ბევრ საქონელს პატრონობდა. ბავშვებს განსაკუთრებით გვიყვარდა საღამოს ესე ნიკოლაიშვილის ღარიბულ ქოხში ყოფნა. ყველაზე დიდ სიხარულს კი „დადახელილისაგან“ — სულუგუნისაგან უხვად გაცემებული ფიგურები გვგვრიდა, რომელსაც იგი უნაკლო ოსტატობით აკეთებდა. ამ ქოხს ჰქონდა რაღაც მიმზიდველი ძალა არა მარტო იმიტომ, რომ



იქ ნაძვისა და ფიჭვის ხის ცეცხლის სურნელება იდგა და გაქვარტლულ ჭაჭვებზე შვე „კარდალაში“ გემრაველი „ქაქია“ მზადდებოდა, არამედ იმითმაც, რომ ექსპორტის კაცი გვეგულებოდა, რომელიც ბავშვებს შესანიშნავ ზღაპრებს და „ფანტაზიების“ ამბებს გვეყვებოდა.


ბიძახეში ცხენთან იყო თანაშეზრდილი. ამიტომ არასოდეს გამკვირვებია, რომ სულუგუნის ფიგურებიდან ყველაზე მეტად ცხენის გამოსახულების ვაკეთება უყვარდა. იგი ასევე ხელმარჯვედ აკეთებდა ყველა სხვა გამოსახულებას, მაგრამ მესხიერებაში ჭაჭვივით ერთმანეთზე გადაბმული ე. წ. „ბუბლიკები“ — ბუბლიკები და იხვები ჩამრჩა, რომელთაც საგულდაგულოდ ვინახავდი. როდესაც დილის ცვარი აიკრიფებოდა და ნორჩი ჰაბუდრავით დაფარულ ბორცვზე სათამაშოდ წავიდოდით ენით გამოუთქმელი სილამაზის სიბოლოდებიან წყაროს, ალაგ-ალაგ გაჩენილ, ბუნებრივ გუბებში ძაფგამობმულ იხვებს ჩავსვამდი და ვაცურავებდი. დანარჩენ „პწილებს“ ფიცრული სახლის თაროზე ვინახავდი, ახლად „ამორიგებულ“ ღომში ჩაფლავდი და გემრიელად შევექცეოდი.

ასეთი „ნახელები“, რომელიც ბავშვების გასართობად სადღესასწაულო დღეებსა და განსაკუთრებით ახალი წლისა და ჭორწილისათვის მზადდებოდა არც მერე მოკლებიათ ჩემს შვილებს და შვილიშვილებს, ჩემს დედულეთში, სოფელ ბახეში მცხოვრები დეიდაშვილის, კარგი მეურნის, ნოე ნაცვალაძისაგან.

ახლა ისევ ქვირტის ღელეს და იმ საღამოს გაკეთებულ გამოსახულებებს დაუბრუნდეთ, რომელთა ნახვამ ახალი მოვლენების წინ წამოყვანა და საგანს დამაშორა.

აქ, ხანში, ისევე, როგორც გურიაში, მათ მწყემსები მთაში ყოფნის დროს და სადღესასწაულო დღეებში, განსაკუთრებით ახალწელს ბავშვებისთვის ამზადებენ, რომელთაც „პწილებს“ ეძახიან. დაკვირვებით ვუყურებ, როგორ გადაზილა მეურნემ ახალი ამოყვანილი ყველი, პატარა გუნდებად დაწყვიტა და გააკეთა: ირმისა და ცხვრის, თხის და უღლიანი ხარის, ძროხის, ყვინჩილას და ჩიტის გამოსახულება. ზოგი გამოსახავდა სახრეს და ღვედს, მათრახს, „გორგოლას“, ჭამს, ჭაჭვს, კრუხ-წიწილას, უფორმო, ხან კი კარგად გამოსახულ ადამიანს. საინტერესოა ფრთებიანი და ნისკარტიანი ყვინჩილა ან ჩიტი ყელზე შემოხვეული გრძელი ჭაჭვით, ღვედით ან უღლით. ზოგი ასეთი გამოსახულება ფეხიანია, ზოგჯერ აკეთებენ სქემატურ, ორიგინალთან ნაკლებ დამსგავსებულ ფიგურებს, ზოგჯერ კი ნამერწი ორიგინალის მსგავსია. დამზადების ერთი ხერხი მარტივია, ადამიანის ფიგურისათვის სულუგუნის პატარა გუნდის სწორ, მოგრძო ფორმას მისცემენ, შუა ნაწილს ოდნავ შეზნიჭავენ და წელს ზემოთ გააბრტყელებენ. მას ორ ნახვრეტს გაუკეთებენ, ერთი პირის აღმნიშვნელია, მეორე კი ჭიბის, სახეზე სხვა ადგილი მინიშნებული არაა, არც სქესის ნიშანი ჩანს. მარტივადაა გამოძერწილი ფრინველი და ცხოველი, მათ ფეხი არ აქვთ, ყურადღება ძირითადად თავის და რქის გაკეთებაზეა გადატანილი. ფიგურების ნაწილს: ცხვარს, ხარს, ძროხას მოკაუჭებული და დაბალი რქა აქვს, ირემს მაღალი, დატოტვილი და უკანგადახსნილი. შედარებით სრულყოფილია ადამიანის ფიგურა. ცალკეა დამზადებული მისი ყელი, ფეხი, ხელი და ტორსზე ჩხიჩხით არის მიმაგრებული. ამ რიგის გამოსახულებებში გამოკვეთილია წვივები

სულუგუნისაგან ნაძერწი  
რიტუალური გამოსახულებანი.



Ритуальные изделия  
из сулугуни.

და მენჯი, მამრობითი გამოსახულება ხშირად ფალიკური ნიშნითაა აღბეჭდილი. კარგად არის დამუშავებული სახე, ნაჩვენებია თვალები, პირი და ცხვირი. ზოგ ნახელავში ცხოველის თავ-რქები მოხდენილად არის „გამოპწნილი“.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ თუ ვისთვის და რა დანიშნულებასათვის იყო განკუთვნილი „პწნილები“. მაგრამ არის კი ეს ცნობა თავდაპირველი სახით ჩვენამდე მოღწეული? თუ გამოსახულებათა გაკეთების ტრადიცია შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ.

ამბობენ, რომ ამ საქმის პირველი თვითმხილველნი და გამკეთებლები ზეგრელი მწყემსები არიან, ხანებგმა ისევე, როგორც სხვებმა დასავლეთ საქართველოში ეს ხელობა მათგან ისწავლეს.


კიდევ ერთი საინტერესო ცნობაა ყოფაში დაცული, რომ სვანეთში ახლად ამოყვანილი ყველისა და ცვილისაგან ნაძერწი გამოსახულებები ლიფანალის დროს ადამიანის სულის მოსახსენებლად კეთდებოდა. ასეთივე გამოსახულებები ლიფანალის მხატვრობაშიც იყო ასახული და იგი, როგორც ვ. ბარდაველიძემ აღნიშნა ბუნების ძალების აღორძინებასთან დაკავშირებულ მხატვრობას წარმოადგენდა.

უნდა ითქვას, რომ თუ ხანებგმა სულუგუნის „პწნილები“ გაკეთება ზეგრელებისაგან ისწავლეს, პურის ამგვარ გამოსახულებებს ისინი სხვადასხვა დღესასწაულის დროს უხსოვარი დროიდან აკეთებდნენ. გავიხსენოთ თუნ-



სულგუნისაგან  
ნაძერწი  
რატულური  
გამოსახულებანი.

Ритуальные  
изделия  
из судугуни.



დაც ახალი წლის ტაბლისათვის განკუთვნილი გამოსახულებები — „აბრა პუ-რი“ ან „აბრამიანი“, რომლებიც „მისაკლევარს“ — მისალოცავს წარმო-ადგენდა და ოჯახის დოვლათის ზრდა-შატების საქმისათვის იყო გათვალის-წინებული.

აღნიშნულ გამოსახულებებში ბევრია ისეთი, როგორც ახალ წელს გუ-რიაში ჩიჩილაკზე — სიცოცხლის ხის სიმბოლოზე ჩამობმული პურ-ყვერები იყო. „ყვინჩილა პური“, „ხარის კისერი“, „პუბლიკები“, მრგვალი პატარა პე-რები საქონლის გამრავლებისა და ჭანიერების დასაბეველად ცხვებოდა.

ერთი მასალაა კიდევ საგულისხმო, როდესაც საქონელს — ხარებს შთაში მირეკადნენ, თავზე შემოავლებდნენ „ხარების სალოცავის“ სახელით ცნო-ბილ „ყვინჩილას“ და შეულოცავდნენ „ღმერთო დეიფარე ნადირისაგან, ჭი-რისაგან, ფათერაკისაგან, მშვიდობით ჩამოიყვანე რაც ძალა ხარ, მშვიდობით გვაჩვენე ჩვენი პირუტყვი“. ყვინჩილას ამოაცილიდნენ პატარა „ჭინჭორს“, რომ კარგი საცნობი ყოფილიყო და შობას „ჩიტის აზერამდე“ დაკლავდნენ (ლეჩ-ხუმი, ფაფალა გარდაფხაძე).

რატომ იხსენიება საქონელთან და მის ჭანიანობასთან ფრინველი — ყვინ-ჩილა? ალბათ იმიტომ, რომ ფრინველი საბასილობო (ახალი წელი ხომ ბასი-ლობა-ვისილობაა) ყვერულის სახელის მატარებელია და მას წარმართულ ითი-ფალურ ღვთაება ბოსელთან აქვს კავშირი, რომელიც ერთი მხრივ ხარის და



მეორე მხრივ, მზის კულტების შერწყმის ნიადაგზეა განვითარებული, მამალზე, როგორც განაყოფიერების ძალის მქონე ფრინველზე წარმოდგენა, მისივე ფრინველისა და მიწის ე. ი. ცისა და მიწის კონსოგონიურ კავშირზეა დაფუძნებული. და ეს რომ ასეა ამას ქვევით დავინახავთ. მამლის, როგორც მზის ფრინველის მნიშვნელობა ასევე დიდია ავი სულელების განდევნის საქმეში: მნათობი ზომ ასე სულელებსაგან დახსნის საშუალებადაც იყო მიჩნეული. ჩანს, რომ მზესთან — ნაყოფიერებასთან ასოცირებულ მამალს აღნიშნულ მოვლენებზე შემოქმედება შეეძლო.

საყოფადღებოა ისიც, რომ „ბატონების სუფრა“ // „ბატონების ტაბლა“ და „ბატონების ხე“, რომლებიც სახადი ავადმყოფობის დროს მზადდებოდა, პურისაგან გაკეთებული სხვადასხვა ფიგურებით იყო დატვირთული. აქ თქვენ ნახავდით ირმისა და ფურის, ცხენის და თხის, „კვატის“, მრგვალი, შუაზე გახვრეტილი კვრების, ჭაჭვის „კოკრების“ და სხვ. გამოსახულებებს, მასზე აგრეთვე ხლი და ტბილულაც იყო მოთავსებული.

როგორც ვხედავთ ხანალებს მეგრული მეჯოგებისაგან მხოლოდ სულუგუნის ფიგურების გასაკეთებლად ამ მასალის გამოყენება უსწავლიათ და ტრადიციად უქცევიათ. ჩანს, რომ სულუგუნის და პურ-კვერების ფიგურების უმრავლესობა თითქმის ერთნაირია, თუმცა ზოგჯერ შეიმჩნევა, რომ უპირატესობა ფიგურების სახესხვაობაში თვით გამკეთებლის მიერ გარემოში დანახულ საგნებს ეძლევა.

ამ მრავალსახოვანი გამოსახულებიდან ჩვენი ყურადღება პურის გახვრეტილმა რგოლებმა მიიქცია, რომლის ანალოგიური, კირქვისა და ფიქალისაგან გაკეთებული კვირისტავის მსგავსი საგნები ყოფაში დღესაც დასტურდება. სვანეთში მათ წველის ბარაქის, ძროხის სისადის, გამრავლებისა და ბავშვის კეთილდღეობისათვის კლდის ნაპრალში ან წმინდა ხის ძირში ათავსებდნენ და ზოგჯერ სალოცავს სწირავდნენ.

რაჭა-ლეჩხუმში შეთქმული კქონდათ, რომ ასეთი გამოსახულების ქვა ბავშვის (შვილის ან შვილიშვილის) ავადმყოფობისაგან განსაყურნებლად და მისი სიცოცხლის შესანარჩუნებლად დედას მთელი ცხოვრების მანძილზე ყელზე ეტარებინა.

ისიც ზომ ენობილია, რომ სუფრაზე აღმართულ „ბატონების ხეზე“ ან „ბატონების ხონჩაზე“ მრგვალი, შუაზე გახვრეტილი პურ-კვერები და პატარა პურის ბურთულები, ჭაჭვები, „პუბლიკები“ — ბუბლიკები, ფრინველებისა და ცხოველების გამოსახულებები იყო ჩამოკიდებული. „ხე“ და „სუფრა“ ისევე, როგორც კვირისტავის მსგავსი პურ-კვერები და სხვა საგნები მზის ღეთების სიმბოლური ნიშანი, მისი სქემატური გამოსახულება იყო, რომლის საშუალებით მზის ცხოველმყოფელური ძალა და ნაყოფიერების თვისება გარე სამყაროს გადაეცემოდა (ვ. ბარდაველიძე).

სახადი ავადმყოფობისათვის განკუთვნილი „ბატონების ხე“ თუ ტაბლა აქ შემთხვევით არ არის ნახსენები, რადგან ბარბალე, სახადი ავადმყოფობის „დედა“, ყოველგვარი ავადმყოფობის უზენაესი ბატონ-პატრონია, მას ნაყოფიერების გადაცემის თვისებებიც აქვს (ვ. ბარდაველიძე) და ადამიანის განკურ-

ნებაც შეუძლია. ალბათ ამიტომაც იყო ბატონების ზონჩაზე მსგავსი გამოსახულებები დაწყობილი.

კვირისტავეები და მისი მსგავსი საგნები მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე, ხიზანანთ გორის ნამოსახლარში აღრებრინჯაოს ხანის ნივთებიდან არის ცნობილი (ტ. ჩუბინიშვილი). რომელსაც ი. კიკვიძე ასევე მზის კულტის გამოსახულებად თვლის.

სულუგუნის „პწინილებთან“ დაკავშირებით გვაგონდება ისიც, რომ ჭაჭვი ანუ შიბი ჭვრის ბუნებრივ თანმშლებ ელემენტად, მისი ციურა წარმოშობის ნიშნად არის მიჩნეული. ჭაჭვი უფსკრულია ორ სფეროს შორის, იგი რელიგიის სიმბოლოა (ზ. კიკვიძე). მამ რელიგიური ხასიათის წეს-ჩვეულებებში ჭაჭვი სულაც არ ყოფილა შემთხვევითი. ამან მოგვაგონა ჭაჭვიანი ანტროპომორფული ფიგურა ყაზბეგის განძიდან (პ. უგაროვას მიხედვით), რომელიც ხევისრული მითოლოგიის საფუძველზე ახსნა ი. სურგულაძემ და გამოთქვა აზრი, რომ ჭაჭვი ცასა და ზეს შორის საკომუნიკაციო საშუალებაა. ხე ცასთან არის შეკრული, რომლის საშუალებით ღვთაებები ციდან ჩამოდიან და ზედ სხდებიან. ალბათ ციდან დაშვებული შიბის — ჭაჭვის მოტივია აქაც წარმოჩენილი, რადგან ყოფაში (იხ. გურიის მასალა) ჩიტი ან ხარი მუდამ ჭაჭვთანაა გამოსახული. ჩანს ცისა და დედამიწის კავშირი ნაყოფიერების გამოსაწვევად.

ჩიჩილაყზე — სიცოცხლის ხეზე და ასევე ჩიჩილაყის შემცველ „პატარა მიანზე“, როგორც „ბატონების“ ტაბლაზე თუ „ბატონების“ ხეზე ხომ ღვთაებათა ატრიბუტები: ფრინველი, „ხარის კისერი“, ირემი, სხვადასხვა ცხოველისადმი მიძღვნილი პურ-კვერებიც გამოსახული?! საყურადღებოა ისიც, რომ მათ შორის ირმის რქიანი ფიგურაა, რომელიც ადრესამიწათმოქმედო რელიგიასა და მხატვრობაში კოსმოგონიური ხის ტოლფასოვანი მნიშვნელობისაა, რაც ძალზე დამაჯერებლად არქეოლოგიურ ძეგლებზე ჩანს (მ. ხიდაშელი).

ასევე საყურადღებოა ამ ფიგურებში სულუგუნის პატარა ჭამების გაცე-თების წესი, რომელიც პირველად სოფელ ხანში დაუდასტურეთ. აქაც ზეციური შიბი ხომ არ უნდა გავიანზროთ. რადგან ჭამი და ჭაჭვი ორივე საკრალური საგნებია, რომელთა შესახებ ვაღმოცემა კოპალას სალოცავის დაარსების შესახებ არსებულ ლეგენდაშია დაცული (ზ. კიკვიძე).

ხალხური გამომსახველობითი ხელოვნების ეს არქაული ნიმუშები ნაყოფიერებისა და აღორძინების ღვთაებისადმი მიძღვნილი შესაწირავებია, რომელიც სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებიდან მომდინარეობს და ოჯახის დოვლათის ზრდა-მატების საქმეს ემსახურება. იგივე გამოსახულებები საქონლის ავი თვალისაგან და ავადმყოფობისაგან დამცველი საშუალებაცაა და ყოველივე ადგილობრივი ტრადიციის საფუძველზეა წარმოშობილი.

როგორც სულუგუნის, ასევე სხვა რიტუალური პურ-კვერების გამოსახულებებმა სრულიად დაკარგეს პირვანდელი მნიშვნელობა. სულუგუნის „პწინილების“ მომზადება ბავშვების გასართობად გვიანდელი მოვლენაა.





საქართველო-დაღესტნის კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობას საუკუნეთა სიღრმეში აქვს ჩამყდარი ფესვები. ამ ორ ისტორიულად მეზობელ ხალხს შორის მუდამ აქტიურად მიმდინარეობდა მათი სამეურნეო-კულტურულ მონაბოვართა გაცვლა-გამოცვლა, ურთიერთ სულიერი გამდიდრება. განსაკუთრებით ეს ითქმის ხელოსნობის სხვადასხვა დარგის შესახებ, რომელთა შორის საქართველოში ოდითგანვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა ყუბაჩელ და ყუმუხელ ოსტატთა ნახელავი: სამკაულები, იარაღი, საოჯახო ჭურჭელი.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში თითქმის მთელი ერთი საუკუნის მანძილზე დაგროვილი და შემონახული მასალა ამ მხრივ ბევრის მოქმელია. მათი ერთი ნაწილი დაღესტნური წარმოშობისაა: დანარჩენი კი თბილისისა თუ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში მუდმივად ჩამოსახლებულთა ან დროებით მაცხოვრებელ დაღესტნელ ოსტატთა ნახელავია.

დაღესტნელი ხელოსნების ჩვენს დედაქალაქში ცხოვრება-საქმიანობის არაერთი ფაქტია ცნობილი. მათი შემოქმედება დიდ ინტერესს იწვევს. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა მანაბა მაგომედოვას მოღვაწეობა. ამ სახელოვანი ოქრომჭედლის ნამუშევრები ამშვენებენ როგორც თბილისის, მოსკოვის, ლენინგრადის, მახაჩკალის მუზეუმებს, ასევე საზღვარგარეთის მუზეუმებსაც და კერძო კოლექციებსაც.

მ. მაგომედოვა დაიბადა დაღესტანში სოფ. ყუბაჩში, რომელიც უძველესი დროიდან განთქმულია ლითონის მხატვრული ნაწარმით. აქ ოსტატობა შთამომავლობით გადადიოდა თაობებზე, თითოეული ოჯახი ფერადი ლითონის და მუშავეების თავის საიდუმლოებებს ფლობდა. ეს საიდუმლოებანი მეგვიდრეობით გადაიკეცმოდა. ასე მოხდა მაგომედოვების დიდ ოჯახშიც. პირველი, ვინც საფუძველი ჩაუყარა ლითონის მხატვრულად დამუშავებას მაგომედოვების საგვარეულოში, უცნობია, თუმც მითითებენ, რომ საოჯახო საოქრომჭედლო ინსტრუმენტებს თერთმეტი თაობის ხელში გაუვლია. მეთერთმეტე ყოფილა მანაბას მამა, დიდოსტატი ომარ მაგომედოვი, რომელმაც გრავირების კეთებით გაითქვა სახელი. ომარ მაგომედოვს 1920-30-იან წლებში მოუხდა ცხოვრება თბილისში, სადაც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაღესტნელი ხელოსნების მთელი პლეადა მოღვაწეობდა. მანაბას მამის გარდაცვალების შემდეგ თითქოს მაგომედოვების ოჯახში ხელოსნობა უნდა ჩამკედარიყო. მისი ერთადერთი ვაჟი, რომელსაც, როგორც მამაკაცს, ტრადიციულად უნდა გაეგრძელებინა მამის საქმიანობა, მეცნიერებით დაინტერესდა, ეს ფაქტი კი საშინაობას ქმნიდა დაეწყებას მისცემოდა ყოველივე, რითაც მაგომედოვების საგვარეულომ სახელი გაითქვა, მაგრამ მანაბამ არ დაეანგა მამისეული იარაღი. ეს პირველი შემთხვევა იყო ყუბაჩის ისტორიაში, როცა ქალი აგრძელებდა ოჯახურ ტრადიციას — ოქრომჭედლობას.

მანაბა ძლიერი ხასიათისა და შემართების პიროვნება აღმოჩნდა, თვითონვე გადაწყვიტა თავისივე ბედი და ენერგიული შრომით საერთაშორისო



ალიარება მოიპოვა. მანაბა მაგომედოვას პროფესიული ბიოგრაფია უნდა  
ქრია.

მანაბა მამის შეგირდობას ვერ მოესწრო, რადგან ადრევე დაობლდა. პირველი მისი მასწავლებლები იყვნენ ცნობილი ყუბაჩელი ოქრომჭედლები, რომელთაგანაც მან შეისწავლა ნივთის ფორმირება, ტრადიციული ორნამენტის კომპოზიცია, გრაფირების ტექნიკა, სევადის, ცვრის, ჭრელის კვეთა როგორც ლითონზე, ასევე ძვალზეც. ყუბაჩელ მასწავლებლებთან მუშაობისას ოსტატმა ქალმა საკმაოდ გაიწაფა ხელი და მდიდარი გამოცდილებაც შეიძინა.

ვერცხლი, როგორც ცნობილია, დაღესტნელ ოქრომჭედელთა სამუშაო ტრადიციული ლითონია, რომლისაგანაც მზადდებოდა სახეიმო ჯამ-ჭურჭელი, თასები, სასმისები, ხმალ-ხანჭლების ბუდეები, ცეცხლსასროლი იარაღის ეარაყი, ჩოხის ქილები და განსაკუთრებით ქალის მრავალგვარი სამკაული: ყურსაკიდები, ყელსაბამები, ბეჭდები, სამაჯურები და ა. შ.

დაღესტნელ ოქრომჭედლებში ვერცხლის ნაკეთობათა მოკაზმვის ყველაზე გავრცელებული ხეობი მოსევალება იყო, მოგვიანებით ფართოდ მოიყიდა ფეხი გამკოლმჭედთაგან ორნამენტმა, გაბშირდა ვარაყიანი ფილიგრანი, ოქროთი მოზარნიშებული ვერცხლი. მანაბა ოსტატურად დაეუფლა ყოველივე ამას და კარგადაც იყენებს, როგორც იარაღზე, ასევე ჭურჭელსა და სამკაულზე მუშაობისას.

მანაბამ არა მარტო ყუბაჩელებისაგან, არამედ თბილისელი ხელოსნებისაგანაც ბევრი რამ საინტერესო შეიძინა და შემატა ეროვნულ ნიღაგზე აღმოცენებულ ხელოვნებას. მებმა ჩიქიბმა, მიხელა იმედაემ, მიხელი გიორგობიანმა, სერგო ჭეიშვილმა, რომლებიც მანაბას მამის, ომარ მაგომედოვის მეგობრები და თანამოსაქმენი იყვნენ, განსაკუთრებული კვალი დატოვეს მომავალი მხატვარ-იუველიერის სულისა და ხელის გაწაფვა-გაოსტატებაში.

მანაბა მაგომედოვამ საიუველიერო მოღვაწეობა თბილისში „საქმრეწმხატვრობის“ არტელში დაიწყო. ეს დაწესებულება აწი-იან წლებში ჩამოყალიბდა და მიზნად ისახავდა მიეწეებულ ხალხური ოსტატების ნაკეთობათა ტრადიციების გამოცოცხლება-განახლებას. არტელში ქართველ ცნობილ ოქრომჭედლებთან ერთად სომეხი და დაღესტნელი ოსტატებიც მუშაობდნენ. უფროსი კოლეგების საქმიანობას მანაბა დაკვირვებით ადევნებდა თვალს. ფაქტურად აქედან იწყება მისი შემოქმედებითი აღმავლობა. მ. მაგომედოვანზე თვალსაჩინო გავლენას ახდენდნენ ხელოვნების მოწინავე წარმომადგენლები: რენე შმერლინგი, დავით ციციშვილი, ლადო გუდიაშვილი, ელენე აბელედიანი. ამიტომაცაა, ალბათ, რომ მ. მაგომედოვას შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია ქართულ თემატიკას. გავიხსენოთ ლარნაყი „გორგასალი“, „ვეფხისტყაოსნის“ გარეკანი, „მერანის“ გარეკანი, „თამარ მეფე“, „ეჟუა-ფშველა“, „გალაქტიონ ტაბიძე“, „ერეკლე მეორე“, „ილია ჭავჭავაძე“, ქართული სურა, აზარფემა და სხვა.

1954 წლიდან მანაბა მონაწილეობს რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებში. სახელოვანი ოქრომჭედლის შემოქმედებითი თვითმყოფადობა არა მხოლოდ ავტორის ნიჭის გამოხატულებაა, არამედ საიუველიერო საქმიანობასთან მისი სისხლხორცეული სიახლოვეც. მ. მაგომედოვასეული ადრინდელი ქმნილებები გამოჩნეულია საშემსრულებლო ოსტატობით,



სიახლოვეს ამეღანებს ტრადიციულ ყუბაურ ხელოვნებასთან, კვლავ მასწავლებელთა ხელდასმისა უთუოდ თვალშისაცემია, მაგრამ შემოქმედებით მოქმედია თუ თავისი სპეციფიკური არ შეიტანა ტრადიციაში დრამატული ელემენტები. ვილი სიახლისაქნ ლტოლვისა. მანაბა აღარ კმაყოფილდება ყუბაურ ორნამენტთა სახეცვლილებით, მონდომებით დაეწაფა ქართული ფორმისა და ორნამენტის შესწავლა-ათვისებას. საფუძვლიანად ეცნობა მუხუდებში დაცულ ხელოვნების ნიმუშებს, გულდაგულ აკვირდება ფონდებში უნიკალურ ძეგლებს და წლების განმავლობაში ლითონის ექსპონატების აღდგენა-დამუშავებით თანდათანობით იბალებს ოსტატობის დონეს.

საქართველოს სახელმწიფო მუხუდებში, როგორც ცნობილია, ინახება IX-XI საუკუნეების მინანქრის უმდიდრესი კოლექცია, მანაბამ, როგორც რესტავრატორმა, გულმოდგინედ შეისწავლა მინანქრის ხელოვნების ნიმუშები. დაეუფლა უფაქიხესი ტიხრების დარჩილისა და განსაკუთრებით მინანქრის ხარშვის ბოლომდე უცნობ ტექნოლოგიას, შეიძლება ითქვას, რომ მაგომედოვამ ერთ-ერთმა პირველმა ათვისისა და აღადგინა მინანქრით დამუშავების მიწვებული მეთოდები და ხერხები.

თბილისის მუხუდებში, შუა საუკუნეების ქართული მინანქრისა და სვანური ლითონის ჭურჭლის რესტავრაციაზე მუშაობისას მანაბამ სპეციალურად შეისწავლა როგორც ძველი და შუა საუკუნეების ხელოვნების ნიმუშები, ასევე საზოგადოდ ქართული ხალხური ნივთიერი კულტურის ძეგლები.

ცნობილ ქართველ ხელოვანთა რჩევითა და მითითებით სახელოვანმა ოქრომჭედელმა მცენარეთა და გეომეტრიული მოხატულობიდან ადამიანის სახისა და ფიგურის გამოსახვაზე გადაინაცვლა. ოსტატ ქალს ვეღარ აკმაყოფილებდა მარტო დაღესტნური სტილი და გაჩნდა სურვილი ყუბაური და ქართული ტრადიციული ფორმებისა და ორნამენტისაყიის შეხამების გზების ძიებისა, ერთ ნივთში დეკორირების სხვადასხვა ხერხის შერწყმის ცდებისა. ამჟღეროს მანაბა ისწრაფვის გადალახოს ზღვარი ტრადიციულსა და თანადროულს, ინდივიდუალურსა და მასობრივს შორის. ამიტომაცაა, რომ მისი ნიმუშევერები არა მარტო მაღალხარისხიანობით გამოირჩევა, არამედ შემოქმედებითი ძიებითაც ცდილობს გასცდეს ჩვეულ ტრადიციებს, ან პირიქით თანამედროვეობას შეუხამოს ორი ხალხის უძველესი ხელოვნება და ამით გაახალსოს, სიცოცხლისუნარიანობა შემატოს ნივთს. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ოქრომჭედლის შემოქმედება, არსებითად ძირძველი ტრადიციების სულისკვეთებით არის გამსჭვალული.

თბილისელი დაღესტნელი ხელოსნის მანაბა მაგომედოვას ნიმუშევერები ორგვარი ორნამენტის სინთეზის კვალს ატარებს, რაც თავისებურად ახალი ტიპის ნივთის წარმოქმნას უწყობს ხელს.

რა თქმა უნდა, ერთ პატარა წერილში მ. მაგომედოვას მრავალფეროვანი შემოქმედების აღწესხვა არ მოხერხდება, მაგრამ ძირითადი მიმც უნდა გაიხახოს. იგი ქმნის უშუვენიერეს ქარქაშებს, ახარფეშებს, სურებს, ლარნაყებს, დეკორატიულ სინებს, ქალის სამკაულებს და ა. შ. ხანჯლის ქარქაში, რომელიც დამზადებულია ჭრ კიდევ 1955 წ. თბილისის 1500 წლისთავთან დაკავშირებით, საუკეთესოდ ავლენს ტრადიციისადმი ერთგულებას და შემოქმედებით



წიგნი „ილია“.  
ვერცხლის ბეჭდები.



Книга «Илья».  
Серебряные перстни.

მიდგომას. მკაფიოდ მკლავდებდა პროპორციის გრძნობა, ფერთა შეხამება, ნივთის კონფიგურაციასთან ორნამენტის ზომათა მისადაგება, ხაზთა დასრულებულობა და რაც მთავარია, დეტალთა ერთობლიობის მოზაიკური გააზრება.

ორიგინალურია ჩანაფიქრი დეკორატიული სინისა „ჩემი მასწავლებლები“. სიმბოლიკა გამჭვირვალეა. შიდა წრეში მოთავსებულ სამ სურათში ყუბაჩი, საქართველო და რუსეთი ამოიკითხება. ორნამენტებში ჩასმული პორტრეტებიც ძალზე მეტყველია, ხოლო ოსტატურად განლაგებული სამი ძვირფასი ქვა მიზიდულობას მატებს და პარმონიულობას ანიჭებს ნაშუშეარს.

საერთოდ მ. მაგომედოვა პოეტური ბუნების, დიდი ფანტაზიის და რაფინირებული გემოვნების ოსტატია. ეს განსაკუთრებით ძლიერ მკლავდებდა რასულ გამზათოვის ლექსთა კრებულის გარეკანის ვარიანტებში, დეკორატიულ სინებში „თავისუფლების დროშა“, „დავით გურამიშვილი“ და სხვა.

მ. მაგომედოვას ნაწარმოებთა კიდევ ერთ მხარეზე გვმართებს ყურადღების გამახვილება. ეს არის დინამიკურობა. მისი კომპოზიციები შინაგანი „აფეთქების“, ლტოლვის, სწრაფვის ასოციაციებს ბადებენ. ამ მხრივ უთუოდ საგულისხმოა სამაჭური და ბეჭედი „ირემი“, მედალიონი წარწერით — „ლეკვი ლომისა სწორია, ძე იყოს თუნდა ზეადია“, „შერანის“ გარეკანი და სხვა.

მაგომედოვას ნახელავი არაერთგზის აღინიშნა პრემიებით რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებზე, მისი ორიგინალური ხელოვნება ყველგან დიდ მოწონებას იმსახურებს. მანაბა მაგომედოვა შემოქმედებითი ძალების აყვავების ხანაშია. საზოგადოება კიდევ ბევრ შედეგს ელის მისგან.

განვითარებული სამიწათმოქმედო კულტურის მქონე ხალხებში ახალი წლის დადგომა, თავდაპირველად ძირითადი სამეურნეო ციკლის, მინდვრის სამუშაოების დაწყებას ემთხვეოდა, რის გამოც მას თითქმის დღემდე შემორჩა აგრარული კულტმსახურების ელემენტები. ასე იყო საქართველოშიც, სადაც მიუხედავად იმისა, რომ უძველესი ხალხური კალენდარული სისტემა, ახლამე, ოფიციალურმა იულიანურმა კალენდარმა შეცვალა, „საკალანდო“ დღესასწაულში ბევრი რამ ადრეული ხანის პერიოდიდანაა შემონახული. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა სამეცველო რიტუალი, რომელშიც მეცვლის მიერ გუთნულში საკრალური კვალის გავლების, პურის თესვისა და მოსავლის სიუხვე-ბარაქიანობის დაბეჭების იმიტირებული მოქმედებაა გამოხატული<sup>1</sup>.

აღნიშნული რიტუალი ხალხური კვების კულტურის ისტორიის თვალსაზრისითაც საინტერესოა. მიეყვებოთ ეთნოგრაფიულ მასალას.

ქართლში საახალწლო სუფრის სამზადისი ჩვეულებრივ რიტუალური პურების გამოცხობით იწყებოდა. ეს იყო ბასილა, ბედის კვერები, ქადა ნამცხვრები, ნახუქები, რომელთაც როგორც წესი, აფუებულ (გაღვივებულ) პურის ცომზე ამზადებდნენ.

ბასილა მამრობითი სქესის ადამიანის გამოსახულების ნამცხვარია. მას ფალოსური ნიშნის გამო, ხალხური რწმენა-წარმოდგენებით, განაყოფიერების ფუნქცია მიეწერება. რაც შეეხება ბედის კვერებს, მათაც ძირითადად აგრარული ხასიათის მაგიურ-რელიგიური მნიშვნელობა ენიჭება. ეს იყო ფრინველის, საქონლის, სამეურნეო იარაღების, მარცვლეულის სათავისისა და აგრეთვე სხვადასხვა ასტრალური ნიშნებით აღბეჭდილი რიტუალური პურები; წიწილ-კრუხი, ვაზის რქა, ხარის ქელი, ულელი, თავთავი, პურის ორმო, ნამგალი, ძროხის ძეძუ, ქვეერი, თორნე, კეცები, ნახვარმთვარე, მზის სხივები, მეცხვარის ჯოხი და სხვ., რომელთაც დიასახლისი თბილთ ან ლობიოს მარცვლებით „დააწიკწიკებდა“, კაკლით, ჩაშიჩით, ნუშის გულითა და ვაშლებით მორთავდა და ოჯახის წევრების სახელობაზე რაიმე სახვეწარს ჩაუთქვამდა (ავადმყოფის გამოჯანმრთელებას, ეყვიანობას, დასაქორწინებლის დაქორწინებას, ქალიშვილის გათხოვებას, გასაზრდელის გაზრდას, მოხუცის დღეგრძელობას და სხვ.), ამასთან, წლის დადგომას ოჯახის წევრთა სიმრთელეს, მოსავლის სიუხვეს, სიხარულსა და ბედნიერებას შესთხოვდა. შემდეგ თითოეულ მათგანს თორნეში ჩააკრავდა და მათ სათითაოდ „ნამიანი“ (მარილწყალში დასველებული) თითებით შეეხებოდა. სწამდათ, რომ თუ რომელიმე პური კარგად არ გამოცხვებოდა და კუტად ჩავარდებოდა, მას, ვისთვისაც ის იყო განკუთვნილი იმ წელს ბედი არ გაუტყრიდა და მოსავალიც უბარაქო ექნებოდა. ხოლო პირიქით, თუ ცომი დროულად გაღვივდებოდა და პურიც სწრაფად ამოიყრებოდა, მაშინ ხვადრიელი წელი დადგებოდა.

როცა რიტუალური პურები გამოცხვებოდა, დიასახლისი მათ ტკბილეულთან, ხილთან და სხვა პროდუქტებთან ერთად (ღორის თავი, გოზინაყი, ჩურჩხელა, თაფლი, პურის მარცვალი, ხელადით ღვინო და სხვ.) ერთ მოზრდილ

გობზე (ზონჩაზე), ტაბაჯზე ან ცბრილზე დააწყობდა და ოჯახის უფროსს ახალწლო მისალოცს გაუმზადებდა.

ასეთი სახის ნობათს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მისაველინის (საკვლევეარს), რაჭაში მისამკლოვს, ქართლში კი აბრამიანს უწოდებდნენ. რაჭაში, „სამკლოვიარო გვერგს“ ვახის რქისაგან წნავდნენ, გვერგვის ზედაპირზე სახალწლო „განატეხს“ (პურს) დებდნენ, განატეხზე კი შუაში საკვლანდოდ მოხარშულ ღორის თავს, რომელსაც ირველივ ვერცხლის ფულებით დაჩირჩხლულ ვაშლებსა და ტბილუელს შემოუწყობდნენ. ბასილასა და „ბაცუკებს“ დააწყობდნენ. ასეთნაირად მორთულ სანთლებანთებულ საკვლევეარს მკვლეიერი (ოჯახის უფროსი) ბელელში შეიტანდა და გვერდი: სახედამეღვინით სავსე დოქს მოუდგამდა. თვითონ იმ ღამით იქ რჩებოდა. დილით კი „ჩიტის ახვრამდე“ ადგებოდა, ბელილიდან „მოსამკლოვს“ გამოიტანდა და სახლის კარებს მიადგებოდა. თან ხმამალა დაიძახებდა: „კარი გამოღებდა ახალი წელი მოვედიო“, მაგრამ ვიდრე დიასახლისი შეკითხვებს არ უპასუხებდა (სად იყავ და რა მოგაქვსო) კარს არ გაუღებდნენ. მკვლეიერი სამეფრობებდა „ხვავი და ბარაქა მომაქვს, ბევრი ღვინო, ბევრი პური, სიხარული და ბედნიერებაო“. მხოლოდ ამის შემდეგ გაუღებდნენ კარს. როცა შინ შემოვიდოდა წამით ზღურბლზე შეჩერდებოდა და ხმამალა იტყოდა „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი კვალი ანგელოზისაო“<sup>2</sup>. მერე კერძის მიუკვლევდა, პურის მარცვალს (ხორბალს) მიმოაბნევდა და კვლავ გარეთ გავიდოდა; მარანს, ბოსელს, ბელელს მოივლიდა; ვახიანს, საქონელს, ფრინველს და წლის დაუნჯებულ სარჩოს უმწყალობებდა ბასილას, ბელელში — პურს ამბარში ჩადგამდა და მას წლის მოსავალს შეავედრებდა. შემობრუნებული მეკვლე-ბავშვებს ახალ წელს ლოგინში მიულოცავდა, მათ საითთაოდ ბედის კვერებს ჩამოურიგებდა (თითოეულს, მისთვის განკუთვნილ ბედის კვერს შეახვედრებდა) და თავლით დააბერებდა (თაფლიან თითს პირში გამოუსვამდა). ასე ტბილად დამიბერდითო, საუზმის წინ თავისიანებს ხელებს ღვინით დაუსველებდა და სამეკვლეო ნობათით გაუმასპინძლდებოდა. ქართლური წესით მეკვლე ბავშვებს ჩურჩხელით დააბერებდა, მერე წინასწარ ტყიდან მოტანილი ფოთლითა და ფიჩხით ცეცხლს გააღვივებდა. ფოთლის დაწვისას, როცა ცეცხლი ნაპერწყმებს ისროდა იტყოდა: ამდენი ცხვარი, ამდენი ძროხა, ამდენი სული ადამიანიო, მერე ერბო-კვერცხსა და წვადს შეწავდა, კვერცხს თითონ შექამდა, წვადს კი ოჯახის წევრებს უთავაზუბდა<sup>3</sup>. ასე მთავრდებოდა ოჯახის უფროსის სამეკვლეო რიტუალი. მეორე დღეს კი „ფეხის დაბნა“ იწყებოდა, მეფეხური მოვიდოდა და ის დაამწყალობებდა.

ს. მაკალათიას ცნობით, ფშავში მეკვლე მიწაზე ანარცხებდა (გაავორებდა) სამეკვლეო პურს და თუ იგი სახიერი პირით დევირდებოდა ეს უხვი მოსავლის მოსვლას მოასწავებდა. ხშიადის მიწის პირზე გასპა სკოდნით ხევიცი, ქართლში კი თვით ზონჩას (ტაბაჯს ან ცბრილს) მიწაზე დგამდნენ. ამას გარდა ზოგ შემთხვევაში საკვლანდო ღორის თავს ნათილებამდე არ შექამდნენ, სვანური წესით კი მას მხოლოდ ოჯახის წევრები (არა სხვების თანდასწრებით) სწორედ ახალ წელს ე. ი. ნათილებამდე ჰამდნენ. ვფიქრობთ აღნიშნულ რიტუალში ბევრი რამ ქრისტიანული რელიგიის მიღების შემდეგაა გაჩენილი. სახელდობრ, ეს შეეხება ზიარების ჩვეულებას, ღორის დაკვლის



საკვლევაო. 5. თენიშვილის ნახატი.


Нозогодиное подношение.

Рис. Н. Тенишвили.

განსაზღვრულ დროს (ქრისტეშობის ღამე) და სხვ. რაც შეეხება რიტუალური პურების საკრალურ ფორმებს და საკვლევაო ღორის თავის დადების წესს, ყოველივე ეს უთუოდ ძველი დროიდან მომდინარეობს. XVII ს. „ხელმწიფის კარის გარიგებაში წერია, რომ ახალ წელს მეფეს „საწელისწლისთაო“ ტაბლა მიართვეს, რომელზედაც მოხარშული ტახის თავი იდო (იხ. ხელმწიფის კარის გარიგება, ექ. თაყაიშვილის გამოცემა თბ., 1942)“.

ხალხური დაკვირვებით ტაბლაზე უპირველეს ყოვლისა რიტუალური პურები უნდა დაიწყო. „აბრამიანს ვეძახით ბედის კვრებს, ბასილას, რაც ზონჩაზე ეწყო ყველას აბრამიანს ვეძახდით, მაგრამ უფრო ხშირად ვიტყვოდით — აბრამიანი გამოვაცხოთო“ — გადმოგვცემს მთხრობელი. ჩვენს კითხვაზეც საახალწლოდ რა უნდა მოგვმზადებიათ ან გამოგვცხოთო, პასუხი ერთი იყო — აბრამიანს ვაცხოზდითო. საქართველოს შინამრეწველობის მასალებშიც აბრამიანი საახალწლო პურია (აქ მითითებულია „აბრამიანის გამოცხოზბა“). გავიასენოთ, რომ რაქაშიც საახალწლო ძღვენი, პროდუქტები, დიდ პურზე — „განატეხზე“ აწყვია და არა გვერგვზე. ყოველივე ეს გვარწმუნებს იმაში, რომ საკვლევაო აბრამიანი თავდაპირველად მხოლოდ რიტუალური პური უნდა ყოფილიყო, შემდეგ კი იგი სათანადო ჭურჭელმა შეცვალა (ხონჩა, ცხრილი, ტაბაკი, გვერგვი, პურის ცომის მოსაზელი გორდა/გობი და სხვ.), თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ აბრამიანს მიწაზე დგამდნენ, რაც თავისი ფუნქციით მიწის მადლთან ზიარებისა და ზორბლის მობნევის მსგავსად უხვი მოსავლის გამოწვევის მიზნით შესრულებულ ჩვეულებას უტოლდება, ეს აზრი უფრო ნათელი და სარწმუნო შეიქმნება.

ახლა თვით ტერმინ აბრამიანის შესახებ. აბრამიანი სულხან საბა ორბელიანის განმარტებით თავღნარევე ღვინის ბოლიწოს ეწოდება. ხოლო ბოლიწო ღვინოში ჩამბალ პურს. ძველი ქართული ენის ლექსიკონებში და შედარებით ადრეული ხანის წერლობით წყაროებში ტერმინი აბრამიანი არ გვხვდება, ამასთან, არსად იგი არ არის სამკვლელოს — საკვლევაოს მნიშვნელო-



რიტუალური პურები (ხედის კვრები).  
(ვ. ბარდაველიძის მიხედვით)  
ნ. თენიშვილის ნახატი.

Ритуальные хлеба. (По В. Бардавелидзе) Рис. Н. Тенишвили.

ბით (საკმაოდ შეზღუდულია ამ სიტყვის ვაერცელების გეოგრაფიული არეალიც), ზოლო ტერმინი საკვლევარი/მისაკვლევარი/მისაკვლეველი, სამეკვლეო, უფრო ძველი და მასშტაბური ჩანს. დ. ჩუბინაშვილი მას საახალწლო ძღვენს უწოდებს და არა ბოლიწოს, თუმცა იქვე ცალკე აქვს მოცემული აბრამიანის განმარტებაც. მას რაშია საქმე, რატომ უნდა დარქმეოდა ქართლში საკვლევარს აბრამიანი?



ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უწინარეს ყოვლისა ერთ უარყოფით მოვიშველიებთ. ეთნოგრაფიული მონაცემებით იმერეთში ახალ წელს „ადრ აბრა“ პურის გამოცხობა სცილდნოთ. მას საახალწლო სუფრის შემადგენელ დადებდნენ და მის გარშემო მრგვალად მოხარშულ ქათამს, ღორს თავს, ხველ ხილს, კვახს, ნიგოზს, ბასილას და სხვა პურ-კვერებს შემოუწყობდნენ, დისასლისი აბრი პურს დაჭრიდა, სათითაოდ თაფლში ამოვლებდა და ოჯახის წევრებს ამ ლეკვით მიუღოცავდა. ჯ. რუხბაძის ცნობით კალათში ჩაწყობილი აბრი პური სხვა პურ-კვერებთან ერთად ოჯახის მისაკვლევი იყო. ავტორი სვამს კითხვას-ხომ არ არის ეს საახალწლო აბრამიანი? და იქვე პასუხობს, თუ აბრი პურისა და აბრამიანის ფუნქცია ერთია, ე. ი. ისინი ერთმანეთის იდენტურია ანუ ნაყოფიერების ღვთაებისადმი ვანკუთვნილი შესაწირავებია, მაშინ სავარაუდოა, რომ აბრი პური რიტუალური ტაბლის უფრო ადრინდელი ფორმაა, ვიდრე აბრამიანი, ვფიქრობთ ავტორის ეს ვარაუდი სრულიად საფუძვლიანია, რამეთუ ქართლში, რომელიც ისტორიულად პურის ბეღელს წარმოადგენდა, აბრი პურს (აბრიდან აღებული პურის ან აბარისათვის — წმინდა საკვების წმინდა სათავისათვის გამომცხვარი პურის) სახელწოდება აბარაიანად ანუ აბრამიანად გადაზრებულყო, თუნდაც, იმ შემთხვევაშიც კი, ტერმინი აბრამიანი ბიბლიური მამა აბრაამის სახელიდანაც რომ მომდინარეობდეს, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს და რაშიც ჩვენ გარკვეული კორექტივი შეგვაქვს. სახელდობრ, — რელიგიის ისტორიიდან ცნობილია, რომ ქრისტიანულ სარწმუნოებას ბიბლიური მამა აბრაამი ქრისტეს მოციქულთან ჰყავს ვაიგიეებული და მისი ზიარება ბოლიწოთი, პურითა და ღვინით ხდება, რამეთუ პურ-ღვინო ძირითადი საკვებია და შესაძლოა ამის გამოც მიიღო მან რელიგიური ფუნქცია, მაგრამ ასეც რომ იყოს ეს ფაქტი უფრო გვიანდელ მოვლენად ჩაითვლება ვიდრე საკვლევარის არსებობა წარმართული ხანიდან შემორჩენილ საახალწლო რიტუალში; ტერმინი საკვლევარი ხომ უშუალოდ გამოხატავს მის შინაარსს; კვალს ვავლება ხდება საკვლევართ, წმინდა საგნით, თავდაპირველად ხორბლით შემდეგ კი გამომცხვარი პურით.

ორიოდ სიტყვით თაფლნარევი ღვინის ბოლიწოთს შესახებ. ჩვენი მასალით არსად არ დასტურდება აბრამიანზე/საკვლევარზე თაფლნარევი ბოლიწოთის არსებობა. როგორც წესი მასზე თაფლი და ღვინო ცალ-ცალკეა დადგმული. საერთოდ რამდენადაც ვიცით თაფლნარევი ღვინო თითქმის არც ერთ სხვა რიტუალშიც არ დასტურდება. საახალწლო მილოცვასას კი ოჯახის წევრთა „დაბერება“ ჩვეულებრივ ტყბილით, თაფლით, გოზინაყით, ჩურჩხელით ხდება და არა მაინცდამაინც ბოლიწოთით, რაც აშკარად სიმბოლურია ამ დღესასწაულისათვის, იგი ხომ ნაყოფიერების, სიტკბოსა და ბედნიერების გამოხატველია. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ სულხან საბა ორბელიანი ტერმინ აბრამიანის განმარტებისას უბრალოდ ახუსტებს აღნიშნული სიტყვის შინაარსს და არ წერს რომ იგი საკვლევარია. აბრამიანს სანათლისღებო საჭმელად მიიჩნევს და ჩუბინაშვილიც, მისაკვლეველს კი ახალწლის მისალოც ძღვენს უწოდებს, ასე რომ ამით ავტორი ამ ორ ტერმინს ერთმანეთისაგან გამიჯნავს, ხომ შეიძლება რომ ადრე ეს მართლაც ასე ყოფილიყო? ამჯერად,

კვლევის მოცემულ ეტაპზე, ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრებები საბოლოოდ შეიძლება შემდგენა-რად შევაჯამოთ:

